პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 115 (20456) — პარასკევი, 19 მაისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

ᲓᲦᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲘᲗᲘ

● **რესპუბლიკაში** შექმნილი საგანგაშო დემოგრაფიული ვითარება მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმან, რომ ირღვევა მიწათსარგებლობის წესები. ამ დროს კი რესპუბლიკისათვის ესოდენ აქტუალური საკითხი არც იუსტიციის სამინისტროსათვის და არც მისი ადგილობრივი ორგანოებისათვის არ მდგარა უპირველესად გადასაჭრელ პრობლემათა შორის (**„უზრუნველვყოთ მიწათსარგებლობის ჯეროვანი რეჟიმი“**).

● **ადიგენის** რაიონის მშრომელებმა ფართოდ გაუღეს კარი სტიქიური უბედურების გამო მთიანი აჭარიდან გადმოსახლებულთ. მალე აქ სამასამდე ოჯახი უნდა დასახლდეს (**„სასოწარკვეთილებიდან იმედისაკენ“...**).

● **დამთავრდა** ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ტექნიკური განახლების კიდევ ერთი ეტაპი, რომელიც საგრძნობლად გაზრდის წარმოების მოცულობას და ქვეყნის მეტალურგიაც მაღალხარისხოვან ფეროშენადნობს მიიღებს (**„გაიზრდება წარმოების მოცულობა“**).

ᲒᲕ-2 ᲡᲐ.

● **ბრა** და არ ყუჩდება ტკივილი; თუმცა განა რა დრო უნდა გავიდეს, აპრილის ტრაგედია რომ დაგვავიწყდეს... რედაქციაში კვლავაც დასტადასტა მოდის ბარათები, 9 აპრილს დატრიალებულ ტრაგედიას რომ ეხმიანება; კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი მათ, ყური მივუგდოთ, რას ფიქრობს ხალხი, რა ტკივილი ახლებური სიტუაცია, იქმნება პრაქტიკული წინამძღვრები საიმისოდ, რომ ამ კონფლიქტს, ბოლოს და ბოლოს, სამეული დაადგეს.

ჩვენ ვიმსჯელეთ ამ საკითხებზე კამპუჩიელ და ვიეტნამელ ამხანაგებთან, ხოლო გუშინ — თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელებთან ერთად. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კამპუჩიის პრობლემის მოწესრიგება თანდათან რეალურ კონტურებს იძენს.

თუ ვილაპარაკებთ მთავარ პრინციპზე, რომელსაც იგი შეიძლება დაეფუძნოს და უნდა დაეფუძნოს კიდეც, ეს გახლავთ ისევ და ისევ ერთადერთი სამართლიანი პრინციპი—ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპი. მხოლოდ თვით კამპუჩიელები შეძლებენ მაგნონ ამ ქვეყნის მომავალი პოლიტიკური წყობისა და თანხმობის ფორმულას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი მზად არის მონაწილეობდეს შესაბამის საერთაშორისო გარანტიებში და პატივი სცეს კამპუჩიის ხალხის ყოველგვარ არჩევანს, მის დამოუკიდებლობის, ნეიტრალიტეტისა და მიუმხრობლობის კურსს.

როდესაც თანამედროვე მსოფლიოს რთულ პრობლემებზე ფიქრობ, ხედავ, რომ ჯერ არასდროს ჰქონია ესოდენ დიდი შესაძლებლობანი ცივილიზაციის პროგრესს, მის აღმასვლას ახალ მწვერვალებზე. ამავე დროს, ჯერ არასდროს ყოფილა კაცობრიობის უკან დაქანებისა და თვით მისი არსებობის შეწყვეტის ესოდენ სერიოზული საფრთხე.

ასეთ სიტუაციაში ყველა სახელმწიფოსა და მთავრობას, პოლიტიკურ პარტიებსა და სოციალურ მოძრაობებს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებთ თავიანთი გადაწყვეტილებებისა და მოქმედებისათვის. ჩვენ ყველანი უბრალოდ ვალდებული ვართ გამოვიყენთ არსებული ისტორიული შანსი ახლანდელ და მომავალ თაობათა საკეთილდღეოდ.

მინდა გამოთქვა იმედი და რწმენა, რომ ამ სამომავლო ბრძოლაში საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აქტიურად ითანამშრომლებენ, რომ ჩვენი ქვეყნები ღირსეულ წვლილს შემატებენ მსოფლიო გაერთიანების პრობლემათა გადაჭრას.

* * *

დამსწრეთ საბჭოთა ხელმძღვანელის გამოსვლა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

დარბაზში ტაშმა იქუხა, როდესაც ჩინეთის საზოგადოებრივი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ჰუ შენმა გულითადი მადლობა გადაუხადა მ. ს. გორბაჩოვს და გადასცა მას სახალხო რესპუბლიკაში ჩინურ ენაზე გამოცემული წიგნი „გარდაქმნა და ახლებური აზროვნება ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის“.

* * *

დიდი, დაძაბული და მრავალმხრივია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა ხელმძღვანელის ყოფნის პროგრამა. მასში თავისი ადგილი აქვს დათმობილი ჩინეთის ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების გაცნობასაც. ამას აქ ჩინელი ხალხისადმი საბჭოთა ადამიანების უდიდესი პატივისცემის დასტურად მიიჩნევენ.

დღეს მ. ს. გორბაჩოვმა პეიკინელ ოფიციალურმა პირებმა ნახეს დიდი ჩინური კედელი. ჩინეთის ათ ღირსშესანიშნაობას შორის მას სამართლიანად უკავია პირველი ადგილი. კედლის მშენებლობა 22 საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაიწყო, და ეს გრანდიოზული გალავანი, რომლის სიგრძე 6.700 კილომეტრია, იცავდა ქვეყანას და მის ხალხს მომთაბარეტომების შემოსევებისაგან.

ავტომანქანების კორტეჟი დიდ ჩინურ კედელს მიადგა. ათასობით დამთვალიერებელი — პეკინელები, ჩინეთის სხვა პროვინციებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული ხალხი — მხურვალედ მიესალმებოდა საბჭოთა ხელმძღვანელს. მ. ს. გორბაჩოვი და მისი თანმხლები პირნი პეკინის მერთან ჩენ სიტუნთან ერთად ავიდნენ გადასახედ მოედანზე, სადაც ექსკურსიამძღოლმა სპეციალური საბჭოთა სტუმრებს გააცნო გალავნის მშენებლობის ისტორია, მისი როლი ჩინეთის საზღვრების დაცვაში. მ. ს. გორბაჩოვმა დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ ფაქტების მიმართ, სვამდა კითხვებს.

უძველესი ძეგლის დათვალიერებისას მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა ახალგაზრდა ჩინელებს და, კერძოდ, განაცხადა: გულით მინდა, რომ ჩვენი ქვეყნების ახალგაზრდობამ შეინარჩუნოს მეგობრობის ტრადიციები, რომლებსაც უფროსმა თაობებმა ჩაუყარეს საფუძველი. მე ვილაპარაკე ამაზე დღეკვანდელ გამოსვლაში — უნდა ავიტაცოთ ეს ესტაფეტა და გადავცეთ მომავალ თაობებს. გვჯერა, რომ როგორც საბჭოთა, ისე ჩინელი ახალგაზრდობა განაგრძობენ საქმეს და ჩვენზე მეტს გააკეთებენ.

დიდ ჩინურ კედელთან საბჭოთა სტუმრების ყოფნას აშუქებდნენ მრავალი ქვეყნის ჟურნალისტები.

* * *

მ. ს. გორბაჩოვმა დღეს ინტერვიუ მისცა ჩინეთის ცენტრალურ ტელევიზიას და პეკინის რადიოს.

* * *

ნაშუადღევს ჩინეთის დედაქალაქში გაიმართა მ. ს. გორბაჩოვის პრესკონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ა. ნ. იაკოვლევი, ე. ა. შევარდნაძე, ი. დ. მასლიუკოვი, გ. ხ. შანნაზაროვი, ე. ი. ჩაზოვი და ო. ა. ტროიანოვსკი.

გ. არსლანოვი,
ა. ბირიუკოვი,
ვ. კაშიროვი,
ბ. შიშკინი.

კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის კურსით



სურათზე: შეხვედრის დროს. — საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

პეკინი, 17 მაისი. (**საკდესის სპეც. კორ.**). დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების შენობის საქტო დარბაზში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან. შეხვედრაში, რომელიც მოაწყვეს ჩინეთის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ, ჩინეთის საერთაშორისო ურთიერთობის შემსწავლელმა სახალხო საზოგადოებამ და ჩინეთის საერთაშორისო საკითხთა შემსწავლელმა ინსტიტუტმა, მონაწილეობდნენ ჩინეთის სამეცნიერო და შემოქმედებითი წრეების რამდენიმე ასეული წარმომადგენელი, საბჭოთა ხელმძღვანელის თანმხლები პირნი, საბჭოთა მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი.

ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით პრაქტიკულად იმ შეხვედრის დამთავრებისთანავე, რომელიც ამ ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში პირველად გაიმართა უმაღლეს დონეზე საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის, თქვა საბჭოთა ხელმძღვანელმა.

გუშინ მე და აქ მყოფ ჩემს კოლეგებს მთელი დღე გვქონდა მოლაპარაკება ამხანაგებთან. დენ სიაოპინთან, ჯაო ძიანთან და ლი პენთან. წინა დღით გაიმართა საუბარი ამხანაგ იან შანკუნთან. საფუძვლიანად ვიმსჯელეთ პრინციპულ საკითხებსა და საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებზე, გავუზიარეთ ერთმანეთს აზრი მსოფლიო პოლიტიკის პრობლემებზე.

რა თქმა უნდა, საჭიროა კიდევ ყოველმხრივ გავიზიაროთ მრავალი სხვადასხვა იდეა, განსხვავებული თვალსაზრისები და წინადადებანი, რომლებიც წამოიჭრა და გამოითქვა საუბრების დროს. მაგრამ ამთავითვე შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენ ძმაყოფილი ვართ მოლაპარაკების შედეგებით.

უწინარეს ყოვლისა, გვაქვს საერთო თანხმობა, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა გრძელვადიან ინტერესებს შეესაბამება კეთილმეზობლობა და თანასწორუფლებიანნი, ორმხრივ სასარგებლო თანამშრომლობა. მიღწეული მორიგებანი სოლიდურ პოლიტიკურ საფუძველს უქმნიან ისეთი ურთიერთობის განვითარებას საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად.

რუსეთ-ჩინეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის – მატარებელ დიდი და რთული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ამ მემკვიდრეობაში არ დაგვრჩეს „თეთრი ლაქები“. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ობიექტურად და პირუთვნელად შეფასდეს მისი ყველა, მათ შორის, ურთულესი ეპიზოდები.

მაგრამ თუ ჩვენს ურთიერთობას დიდი ისტორიული მასშტაბით მივუდგებით, უეჭველია, რომ ამ ურთიერთობაში პოზიტიური საწყისი ასკეკ გადასწონის იმას, რაც უნდობლობიდან და კონფლიქტებიდან მომდინარეობდა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ჩვენი პოლაპარაკება თავიდანვე იყო გამსჭვალული იმ აზრით, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის გაუმჯობესება არ არის მიმართული ვისიმე წინააღმდეგ, არ მოითხოვს არც ჩინეთისაგან და არც საბჭოთა კავშირისაგან „განუდგენენ“ მესამე — სოციალისტურ თუ კაპიტალისტურ, განვითარებულ თუ განვითარებადს, დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ქვეყნებთან დამკვიდრებულ ურთიერთობას.

უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ნორმალური ურთიერთობა ესატყვისება მთელი მსოფლიო გაერთიანების ინტერესებს, შეესაბამება თანამედროვე მსოფლიო ვითარების წამყვან ტენდენციებს.

უკანასკნელი წლების მანძილზე ორივე მხარემ განახორციელა ღონისძიებანი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვრის გაყოლებით სამხედრო დაპირისპირების დონის შესამცირებლად. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვრების დემილიტარიზაცია, მათი გადაქცევა მშვიდობისა და კეთილმეზობლობის მეჯნად კარგი მიზანია, რომელსაც შეგვიძლია მივაღწიოთ ერთობლივი ძალისხმევით.

ორმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობის ფართო ასპარეზი გვესახება ადამიანთა საქმიანობის მთავარ სფეროში — ეკონომიკაში. უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს ქვეყნებს შორის საკავშო გაცვლა მატულობდა, მაგრამ მისი მოცულობა და დინამიკა ოდნავადაც არ შეესაბამება არსებულ შესაძლებლობებს. რა თქმა უნდა, ერთი ხელის დაკვრით, ორივე მხარემ ძალიანაც რომ მოინდომოს, ამ შესაძლებლობებს ხორცს ვერ შეასხამს. საჭიროა განვსაზღვროთ პერსპექტიული სფეროები, გადავწყვიტოთ ფასწარმოქმნის რთული საკითხები, დავეხმაროთ საწარმოებს იპოვონ შესაფერისი პარტნიორები.

თუ არარეალურ ამოცანებს არ გამოვეკიდებით, როგორც გვესახება, ჩვენ შეგვიძლია უკვე უახლოეს ხანს უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობის არსებითი ზრდა ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის. თანაც, ისეთ ტრადიციულ სფეროებში, როგორიც არის სანედლეულო და სამრეწველო საქონლის გაცვლა, ხელშეწყობა ენერგეტიკულ სიმძლავრეთა შექმნაში და მოწინავე ტექნოლოგიის შემუშავებისა და გამოყენების ახლანდელი გაგებით ყველაზე თანამედროვე დარგებში.

ხოლო თუ თანამშრომლობის ფორმებზე ვილაპარაკებთ, ვაჭრობის გაფართოებასთან ერთად შეიძლებოდა გადავსულიყავით საწარმოთა უშუალო ურთიერთობაზე, ერთობლივი ფირმებისა და წარმოებების შექმნაზე, მათ შორის — მესამე ქვეყნების მონაწილეობით.

საქმიანი ურთიერთობის განვითარების სერიოზული რეზერვი შეიძლება გახდეს ვრძელვადიან საფუძველზე დამყარებული თანამშრომლობა რეგიონებს შორის: საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის, ციმბირის მხარეებსა და ოლქებს და ჩრდილო-აღმოსავლეთი ჩინეთის პროვინციებს შორის; ყაზახეთს, საბჭოთა შუა აზიის რესპუბლიკებსა და ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთის პროვინციებს, ავტონომიურ რაიონებს შორის.

ჩინეთში სსრ კავშირზე უფრო ადრე შეუდგნენ რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმებს. ჩვენ დიდი თანაგრძნობით ვადევნებთ თვალს მათს განხორციელებას. პატივისცემით განგვაწყობს პარტიისა და ხალხის ეფექაცობა, რომლებმაც ხელი მოკიდეს საზოგადოებრივი მექანიზმის ღრმა გარდაქმნას იმ მიზნით, რომ განახორციელონ მრავალსაუკუნოვანი კარჩაკეტილობისა და ნახევრად კოლონიური ჩამორჩენილობის რთული მემკვიდრეობის მჭონე უზარმაზარი ქვეყნის მოდერნიზაცია.

ჩვენ ვიცით ამ გზაზე მოპოვებული დიდი მიღწევებიც და ის სიძნელეებიც, რომლებსაც თქვენ წყდებით. გულწრფელად, მეგობრულად გისურვებთ, ამხანაგებო, წარმატებულ წინსვლას მთავარი მიზნის მისაღწევად — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გადასაქცევად განვითარებულ თანამედროვე სოციალისტურ სახელმწიფოდ.

რაც შეეხება სიძნელეებს, ისინი ბუნებრივია ისეთ რთულ საქმეში, როგორიც ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნაა. ჩვენ კარგად ვიცით ეს საკუთარი გამოცდილებით.

საიდუმლო როდია, რომ დასავლეთში, სადაც უდიდესი ინტერესით ეკიდებიან ჩვენს გარდაქმნას, ისევე როგორც ჩინეთის რეფორმებს, სხვა სოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებს, დიდი ალმთია საკითხზე: რამდენად წარმოადგენენ ეს პროცესები სოციალიზმის განვითარებას და რამდენად — მისგან გადახვევას? ზოგ-ზოგები არ მალავენ თავიანთ იმედებს, რომ სამეურნეოანგარიშებრივი ურთიერთობისა და ბაზრის, საჯაროობისა და დემოკრატიის შემოღებას კაპიტალიზმის რესტავრაცია თუ არა, საზოგადოებრივი წყობის რაღაც შერეული ფორმა მაინც მოჰყვება.

ასეთი ვარაუდები მომდინარეობს იმ მცდარი წარმოდგენიდან, თითქოს ეკონომიკური ბერკეტები და დემოკრატია მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმის კუთვნილებას შეადგენდეს. სინამდვილეში კი ეს არის მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირების ფორმები, კაცობრიობას რომ შეუმუშავებია თავისი განვითარების მრავალი საუკუნის მანძილზე. ისინი შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა საზოგადოებრივ სისტემაში. რა თქმა უნდა, მათი სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით.

დარწმუნებული ვართ, რომ სოციალიზმის დროს შეიძლება უზრუნველვყოთ და უზრუნველვყოფთ კიდეც ეკონომიკური და პოლიტიკური დემოკრატიის, ადამიანის სოციალური დაცვისა და მისი თავისუფლების ორგანულ შერწყმას. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება მთელი ჩვენი მუშაობა საზოგადოების განახლებისათვის.

ჩვენს საგარეო პოლიტიკაში, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა, დიდი ადგილი უკავია მისწრაფებას ხელი შეეწყოთ აქ არსებული კონფლიქტებისა და დაძაბულობის ცერის ლიკვიდაციას.

უკვე სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა გამოიყვანა თავისი ჯარები ავღანეთიდან. მაგრამ ამ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები სულ უფრო სახიფათო ხასიათს იძენს. სხვა რა შეიძლება ეწოდოს, თუ არა უგუნურება, პაკისტანის მხედრიონის ცდები დიიწყოს არსებითად აშკარა აგრესია მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ.

ვგონებთ, დადგა დრო, მსოფლიო გაერთიანებამ უფრო აქტიური პოზიცია დაიკავოს ამ კონფლიქტის მიმართ, რომლის ალი შეესაძლება გარემომცველ რაიონებსაც გადასწვდეს. შეიძლება სხვადასხვაგვარად ეკიდებოდნენ ავღანეთში არსებულ რეჟიმს, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ მოქიშპე ავღანელ მხარეთა შორის ურთიერთობის გარკვევა თავად მათ უნდა მიენდოთ. თუ როგორი იქნება ავღანეთი, ეს მხოლოდ ავღანელ ხალხს შეუძლია გადაწყვიტოს.

აი, უკვე ათი წლის განმავლობაში აზიის კონტინენტის ერთ-ერთი მტკივნეული წერტილი იყო კამპუჩიის ირგვლივ შექმნილი ვითარება, და სასიხარულოა, რომ ახლა იქ „გვირაბის ბოლოს შუქი გამოკრთა“.

რა თქმა უნდა, აქ გაუმართლებელი იქნებოდა სულსწრაფობა. კამპუჩიის პრობლემის მოგვარება კიდევ დიდ პოლიტიკურ და დიპლომატიურ ძალისხმევას მოითხოვს. მაგრამ მიმდინარე წლის სექტემბერში ვიეტნამის ჯარების გაყვანის დამთავრების შემდეგ წარმოიშობა თვისებრივად ახლებური სიტუაცია, იქმნება პრაქტიკული წინამძღვრები საიმისოდ, რომ ამ კონფლიქტს, ბოლოს და ბოლოს, სამეული დაადგეს.

ჩვენ ვიმსჯელეთ ამ საკითხებზე კამპუჩიელ და ვიეტნამელ ამხანაგებთან, ხოლო გუშინ — თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელებთან ერთად. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კამპუჩიის პრობლემის მოწესრიგება თანდათან რეალურ კონტურებს იძენს.

თუ ვილაპარაკებთ მთავარ პრინციპზე, რომელსაც იგი შეიძლება დაეფუძნოს და უნდა დაეფუძნოს კიდეც, ეს გახლავთ ისევ და ისევ ერთადერთი სამართლიანი პრინციპი—ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპი. მხოლოდ თვით კამპუჩიელები შეძლებენ მაგნონ ამ ქვეყნის მომავალი პოლიტიკური წყობისა და თანხმობის ფორმულას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი მზად არის მონაწილეობდეს შესაბამის საერთაშორისო გარანტიებში და პატივი სცეს კამპუჩიის ხალხის ყოველგვარ არჩევანს, მის დამოუკიდებლობის, ნეიტრალიტეტისა და მიუმხრობლობის კურსს.

როდესაც თანამედროვე მსოფლიოს რთულ პრობლემებზე ფიქრობ, ხედავ, რომ ჯერ არასდროს ჰქონია ესოდენ დიდი შესაძლებლობანი ცივილიზაციის პროგრესს, მის აღმასვლას ახალ მწვერვალებზე. ამავე დროს, ჯერ არასდროს ყოფილა კაცობრიობის უკან დაქანებისა და თვით მისი არსებობის შეწყვეტის ესოდენ სერიოზული საფრთხე.

ასეთ სიტუაციაში ყველა სახელმწიფოსა და მთავრობას, პოლიტიკურ პარტიებსა და სოციალურ მოძრაობებს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებთ თავიანთი გადაწყვეტილებებისა და მოქმედებისათვის. ჩვენ ყველანი უბრალოდ ვალდებული ვართ გამოვიყენთ არსებული ისტორიული შანსი ახლანდელ და მომავალ თაობათა საკეთილდღეოდ.

მინდა გამოთქვა იმედი და რწმენა, რომ ამ სამომავლო ბრძოლაში საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აქტიურად ითანამშრომლებენ, რომ ჩვენი ქვეყნები ღირსეულ წვლილს შემატებენ მსოფლიო გაერთიანების პრობლემათა გადაჭრას.

* * *

დამსწრეთ საბჭოთა ხელმძღვანელის გამოსვლა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

დარბაზში ტაშმა იქუხა, როდესაც ჩინეთის საზოგადოებრივი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ჰუ შენმა გულითადი მადლობა გადაუხადა მ. ს. გორბაჩოვს და გადასცა მას სახალხო რესპუბლიკაში ჩინურ ენაზე გამოცემული წიგნი „გარდაქმნა და ახლებური აზროვნება ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის“.

* * *

დიდი, დაძაბული და მრავალმხრივია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა ხელმძღვანელის ყოფნის პროგრამა. მასში თავისი ადგილი აქვს დათმობილი ჩინეთის ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების გაცნობასაც. ამას აქ ჩინელი ხალხისადმი საბჭოთა ადამიანების უდიდესი პატივისცემის დასტურად მიიჩნევენ.

დღეს მ. ს. გორბაჩოვმა პეიკინელ ოფიციალურმა პირებმა ნახეს დიდი ჩინური კედელი. ჩინეთის ათ ღირსშესანიშნაობას შორის მას სამართლიანად უკავია პირველი ადგილი. კედლის მშენებლობა 22 საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაიწყო, და ეს გრანდიოზული გალავანი, რომლის სიგრძე 6.700 კილომეტრია, იცავდა ქვეყანას და მის ხალხს მომთაბარეტომების შემოსევებისაგან.

ავტომანქანების კორტეჟი დიდ ჩინურ კედელს მიადგა. ათასობით დამთვალიერებელი — პეკინელები, ჩინეთის სხვა პროვინციებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული ხალხი — მხურვალედ მიესალმებოდა საბჭოთა ხელმძღვანელს. მ. ს. გორბაჩოვი და მისი თანმხლები პირნი პეკინის მერთან ჩენ სიტუნთან ერთად ავიდნენ გადასახედ მოედანზე, სადაც ექსკურსიამძღოლმა სპეციალური საბჭოთა სტუმრებს გააცნო გალავნის მშენებლობის ისტორია, მისი როლი ჩინეთის საზღვრების დაცვაში. მ. ს. გორბაჩოვმა დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ ფაქტების მიმართ, სვამდა კითხვებს.

უძველესი ძეგლის დათვალიერებისას მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა ახალგაზრდა ჩინელებს და, კერძოდ, განაცხადა: გულით მინდა, რომ ჩვენი ქვეყნების ახალგაზრდობამ შეინარჩუნოს მეგობრობის ტრადიციები, რომლებსაც უფროსმა თაობებმა ჩაუყარეს საფუძველი. მე ვილაპარაკე ამაზე დღეკვანდელ გამოსვლაში — უნდა ავიტაცოთ ეს ესტაფეტა და გადავცეთ მომავალ თაობებს. გვჯერა, რომ როგორც საბჭოთა, ისე ჩინელი ახალგაზრდობა განაგრძობენ საქმეს და ჩვენზე მეტს გააკეთებენ.

დიდ ჩინურ კედელთან საბჭოთა სტუმრების ყოფნას აშუქებდნენ მრავალი ქვეყნის ჟურნალისტები.

* * *

მ. ს. გორბაჩოვმა დღეს ინტერვიუ მისცა ჩინეთის ცენტრალურ ტელევიზიას და პეკინის რადიოს.

* * *

ნაშუადღევს ჩინეთის დედაქალაქში გაიმართა მ. ს. გორბაჩოვის პრესკონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ა. ნ. იაკოვლევი, ე. ა. შევარდნაძე, ი. დ. მასლიუკოვი, გ. ხ. შანნაზაროვი, ე. ი. ჩაზოვი და ო. ა. ტროიანოვსკი.

გ. არსლანოვი,
ა. ბირიუკოვი,
ვ. კაშიროვი,
ბ. შიშკინი.

შეხვედრები შანხაიში

პეკინი, 18 მაისი. (**საკდესი**). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად არის ჩინეთში, პეკინიდან შანხაიში გაემგზავრა.

გაცალების ცერემონია მოეწყო „დიაოიუტაის“ რეზიდენციაში. მ. ს. გორბაჩოვი და რ. მ. გორბაჩოვა გააცილა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ იან შანკუნმა.

მ. ს. გორბაჩოვთან ერთად შანხაიში გაემგზავრნენ მისი თანმხლები საბჭოთა ოფიციალური პირნი.

* * *

შანხაი, 18 მაისი. (**საკდესის სპეც. კორ.**). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ჩამოვიდა ჩინეთის უდიდეს სამრეწველო ცენტრში შანხაიში.

ეს ქალაქი ცნობილია ანტიიმპერიალისტური და რევოლუციური ბრძოლის ტრადიციებით, მას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს საბჭოთა კავშირთან.

ქალაქის მშრომელთა სახელით აეროპორტში საბჭოთა ხელმძღვანელს, მის მეუღლესა და საბჭოთა დელეგაციის წევრებს გულთბილად შეხვდნენ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ჩინეთის კომპარტიის შანხაის საქალაქო კომიტეტის მდივანი ძიან ძემინი, შანხაის მერი ჯუ ჟუნძი, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე უ. სიუეციანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ციან ციჩენი.

მ. ს. გორბაჩოვს მიესალმნენ ქალაქის ნორჩი მოქალაქეები. იგინი ერთხმად გაიძახოდნენ: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება შანხაიში“.

„სიძიაოს“ რეზიდენციაში მიმავალ გზაზე ათასათასობით შანხაელი, რომლებიც 12-მილიონიანი ქალაქის ქუჩებში გამოვიდნენ, მხიარული შეძახილებითა და ღიმილით მიაცილებდა ავტომობილების კორტეჟს.

„სიძიაოს“ რეზიდენციაში ძიან ძემინთან გაიმართა ხანმოკლე საუბარი, რომლის დროსაც მხარეებმა ქმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის სრული ნორმალიზაციის გამო. საუბარში მონაწილეობდნენ მ. ს. გორბაჩოვი, რ. მ. გორბაჩოვა და თანმხლები პირნი.

ქალაქის მერმა ჯუ ჟუნძიმ საუზმე გაუმართა საბჭოთა ხელმძღვანელს.

მიესალმა რა მ. ს. გორბაჩოვს, ჯუ ჟუნძიმ ქმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესების კვალობაზე სულ უფრო ფართოდ ვითარდება მეგობრული კავშირურთიერთობა და თანამშრომლობა შანხაისა და საბჭოთა კავშირს შორის.

შანხაიში კვლავ გაიხსნა სსრ კავშირის გენერალური საკონსულო, წლითიწლობით იზრდება სავაჭრო ბრუნვა საბჭოთა კავშირთან. შანხაი და ლენინგრადი უკვე დამძმობილდნენ და ახლა ინტენსიურად ვითარდება ორი ქალაქის კავშირურთიერთობა და თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში — ეკონომიკაში, ვაჭრობაში, კულტურაში, განათლებაში, სპორტში. მერმა გამოთქვა იმედი, რომ ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა ახლანდელი შეხვედრა ხელს შეუწყობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის, ჩინეთის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურთიერთობის განვითარებას, დიდ პერსპექტივებს დასახავს შანხაისა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთხელსაყრელი კავშირურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის.

თავის გამოსვლაში მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაცია დიდი ინტერესით მოელოდა შეხვედრას შანხაისთან, ქალაქთან, რომელთანაც დაკავშირებულია ჩინელ მშრომელთა მდიდარი რევოლუციური წარსული ჩინეთის პროლეტარიატის პირველი კლასობრივი ბრძოლები, ჩინეთის კომუნისტური პარტიის შექმნა.

შეფასა რა გამართული შეხვედრები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელებთან, მ. ს. გორბაჩოვმა ვიზიტს უწოდა „სამიჯნო მოვლენა“, რომელსაც დიდი პოზიტიური შედეგები მოჰყვება არა მარტო ორი ქვეყნისა და ხალხისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც. სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სტაბილურობა, კეთილმეზობლობა შეესაბამება არა მარტო ორი დიდი ხალხის მისწრაფებებსა და იმედებს, არამედ აზიაში უშიშროების განმტკიცებისა და მთელი მსოფლიო სიტუაციის გაჯანსაღების ინტერესებსაც, თქვა საბჭოთა ხელმძღვანელმა.

მან გამოთქვა იმედი, რომ ახლანდელი ვიზიტის შემდეგ სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობა ახალ დინამიკას შეიძენს. საბჭოთა კავშირში მხარს უჭერენ იმას, რომ ეს ურთიერთობა ფართოვდებოდეს და ღრმავდებოდეს საერთო პარტიული ურთიერთობა ხაზითაც და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა კონტაქტების ხაზითაც, რომ ეს კავშირურთიერთობა მოიცავდეს ქალაქებს, საწარმოებს, შრომითს კოლექტივებს, ოჯახებს. მ. ს. გორბაჩოვმა ასეთი თანამშრომლობის კარგ მაგალითად დაასახელა შანხაისა და ლენინგრადის კავშირურთიერთობა.

რბგორც მ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგმა სხდომამ განიხილა გარდაქმნის ამ ეტაპზე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პრობლემები და საკითხები.

რესპუბლიკის მთავრობამ გაითვალისწინა საზოგადოებრივი აზრი და მოიწონა დასკვნა კომისიისა, რომელიც სწავლობს ენგურის ჰიდროტექნიკური კასკადის ეკოლოგიის, დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ შეწყდეს ძალინარე ენგურზე ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის ყველა სამუშაო ავტორიტეტიანი ეკოლოგიური კომისიის დასკვნამდე. აქ განხორციელდება მხოლოდ ობიექტის კონსერვაციასთან დაკავშირებული პირველი რიგის სამშენებლო სამუშაოები.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილა თბილისის საველე-მწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს შუამდგომლობა, და დაადგინა, რომ ამიერკავკასიის უძველეს სასწავლებელს მიენიჭოს საქართველოს გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის სახელი.

უკვე ხორცს ისხამს ეკონომიკის ფინანსური გაჯანსაღების რესპუბლიკური პროგრამა, რომელიც ამ დღეებში დაისახა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე.

წამოყენებული მოთხოვნების შესაბამისად განიხილეს 1988 წელ- საქართველოს სსრ სახმშენის რესპუბლიკური სამეცნიერო-საპროექტო საწარმოო-სამშენებლო გაერთიანება „საქმრეწვსამოქალაქმშენის“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების საკითხი.

განხილვამ ცხადყო, რომ მეურნეობრიობის ახალ პირობებში ამ გაერთიანების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში კარდინალური გარდატეხა არ მომხდარა. არსებული სიძნელეები სახელმწიფო, საგაგემო და საფინანსო დისციპლინის უხეში დარღვევების, ფაქტებებისა და უყაირათობის შედეგია.

მთავრობამ მეტად არადამაკმაყოფილებლად ცნო განვლილ წელს „საქმრეწვსამოქალაქმშენის“ საქმიანობის შედეგები და დასახა რესპუბლიკის ხამშენებლო კომპლექსში ნეგატიური მოვლენების სრული ამოძირკვისათვის, ზარალიანობისა და მცირე რენტაბელური მუშაობის აღმოფხვრისათვის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის გადაუდებელ ღონისძიებათა კომპლექსი.

განიხილეს აგრეთვე სოციალური მშენებლობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ასპექტი — რესპუბლიკაში ავარიული და მოძველებული საცხოვრებელი სახლების ლიკვიდაციის საკითხი. დამტკიცდა ამ მუშაობის 1989 წლის გეგმა.

მთავრობამ შეიმუშავა წინანდლის დენდროლოგიური პარკის დაზიანებული და ეროზირებული მიწის ნაკვეთების აღდგენისა და ამ ნაკრძალი ტერიტორიის ეკოლოგიური დაცვის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი.

მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, სოციალური ინფრასტრუქტურის და კულტურის განვითარებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების სხვა საკითხებიც.

(საქინფორმი).

უზრუნველყოთ მიწათსარგებლობის ჯეროვანი რეჟიმი

იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის სხდომა

რესპუბლიკაში შექმნილი საგანგაშო დემოგრაფიული ვითარება მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმან, რომ ირღვევა მიწათსარგებლობის წესები, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირნი არ იცავენ მოქმედ კანონმდებლობას ამ საკითხზე. ასეთი დასკვნა გამოიტანეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე, რომელზეც, სისტემის მუშაკთა გარდა, მოწვეული იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

იუსტიციის მინისტრმა ვიქტორ შარაშენიძემ, სხვა გამოსულმა ამხანაგებმა ღრმად და პრინციპულად გააანალიზეს შექმნილი სიტუაცია, რათა მივაღწიოთ მიწათსარგებლობის კანონმდებლობიდ დაცვაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. ამასთან დაასახელეს იუსტიციის ორგანოების მიერ ამ საქმეში დაშვებული შეცდომების საკმაოდ ბევრი მაგალითი. პრაქტიკულად ყოველ გამოსვლაში ხაზგასმით აღინიშნა ისეთი მდგომარეობის შეუწყნარებლობა, როდესაც რესპუბლიკისათვის ესოდენ აქტუალური საკითხი არც თვით იუსტიციის სამინისტროსა და არც მისი ადგილობრივი ორგანოებისათვის მრავალი წლის მანძილზე არ მდგარა უპირველესთა შორის, სახალხო სასამართლოები და საზოგადო კანონიერება ჯეროვნად არ აფასებდნენ პრობლემის მნიშვნელობას, უგულებელყოფდნენ ცალკეული ფაქტების საგულდაგულო შესწავლისა და განზოგადების საჭიროებას, რაც ხელს უშლიდა მიწათსარგებლობის წესების დარღვევის მიზეზების გამოვლენას. ყოველად უხეში დარღვევების დროსაც კი მოსამართლე და ნოტარიუსები ჩვეულებრივ არ იყენებდნენ მათთვის მინიჭებულ ყველა სამართლებრივ საშუალებას.

1984-88 წლების მანძილზე რესპუბლიკაში მიწების მითვისებისა და საცხოვრებელი სახლების თვითნებური აშენებისათვის მსჯავრი დაედო 505 მოქალაქეს, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის უხეშ დარღვევაში ხელს უწყობდნენ თანამდებობის პირნი. მაგრამ სასამართლოებმა ამასთან დაკავშირებით გამოიტანეს მხოლოდ 40 კერძო განჩინება, და ისიც, უმთავრესად, წმინდა ინფორმაციული ხასიათისა.

მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლომ იკმარა მხოლოდ საკითხის განხილვა, და ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ 12 მიწის ნაკვეთის თითვისების შესახებ ადგილობრივი რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებისა და შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ შერჩეული მასალები წელიწადზე მეტ ხანს უმოძრაოდ იყო დატოვებული. მოწოდების სრულყოფილზე არ აღმოჩნდნენ არც სახელმწიფო ნოტარიუსები. მათ არაფერ არ განუცხადებიათ პროტესტი საპჭოთა და სამეურნეო ორგანოების უკანონო გადაწყვეტილებათა გამო, არამედ თვითონაც ახორციელებდნენ ამ გადაწყვეტილებებს. მაგალითად, მსგავსი უკანონო გადაწყვეტილებების საფუძველზე მარნეულელი ნოტარიუსები რ. ალიევი და ა. მამედოვი წლების მანძილზე რეგულარულად ასხვისებდნენ საცხოვრებელ სახლებს და უმტკიცებდნენ მიწის ნაკვეთებს მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს სხვა რეგიონებში და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც კი ცხოვრობენ.

არც სახალხო სასამართლოები იჩენენ ჯეროვან მომთხოვნელობას, მთელი სიმკაცრით არ სჯიან მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დამრღვევთ, მათ შორის იმათ, ვინც ამ დარღვევას მრავალგზის სჩადის. კერძოდ, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე არც ერთ მათგანს არ შეუფარდეს თავისუფლების აღკვეთა. უფრო მეტიც, ზოგიერთი მოსამართლე საჭიროდ არ თვლის ჩამოართვას ბრალეულთ მითვისებული მიწის ნაკვეთები, რითაც ფაქტობრივად აკანონებს დარღვევას.

კოლეგიამ შეუწყნარებლად მიჩნია ის გარემოება, რომ სახალხო მოსამართლეები უგულებელყოფენ მიღებულ გადაწყვეტილებათა დროულ და სწორ შესრულებას. მთელ რიგ შემთხვევებში მოსამართლეები განზე უდგებიან კონტროლს კანცელარიებისა და სასამართლო აღმასრულებლების შუამობისადმი. მაგალითად, გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ (თავჯდომარე გ. ხაბაშვილი, კანცელარიის გამგე ნ. სვანი) მიმდინარე წლის იანვარში გაანიხილა მიწის ნაკვეთების მიტაცების სამი საქმე, მაგრამ დღემდე არც ერთი მათგანის გამო არ გამოუწერია აღმასრულებელი ფურცელი. თითქმის ერთი წლის დაგვიანებით გამოიწერა აღმასრულებელი ფურცელი ანალოგიური საქმის გამო, რომელიც მარნეულის რაიონულმა სახალხო სასამართლომ განიხილა (ნ. პეტრიაშვილი, ზ. ვართანოვა).

თვით სასამართლო აღმასრულებლებიც ზოგჯერ უხეშად არღვევენ მოქმედ კანონმდებლობას. მაგალითად, 1965 წელს მარნეულის რაიონში აღმასრულებელმა მ. მამედოვმა დ. მუსაევის მიწის კონფისკაციისა და სახლის დაგნრევის ნაცვლად შეადგინა ოქმი, რომ შეუძლებელია ასეთი რამ, ვინაიდან ბრალეულს ყავს ორი მცირეწლოვანი ბავშვი და ნაკვეთში დარგული აქვს 10 ათასი ძირი თამბაქო. ასევე მოიქცა სასამართლო აღმასრულებელი ზ. მურშედოვი მომართაც.

ამასთანავე სასამართლო და სანოტარო საქმიანობის შესწავლა საფუძველს იძლევა შემდეგი დასკვნის გამოსატანად: მიწათსარგებლობის რეჟიმის დაუცველობა მნიშვნელოვანწილად შედეგად მოჰყვა იმას, რომ ადგილობრივი საბჭოთა, სამეურნეო, მაკონტროლებელი საზედამხედველო ორგანოები და შესაბამისი თანამდებობის პირნი არ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. პრობლემათა გადაჭრისადმი მათი მიდგომა არცთუ იშვიათად აღარების მხოლოდ მოჩვენებითი აქტიურობისა და კამპანიურობის ხასიათს. საკმაოდ თანამიმდევრულად არ ვლინდება მიწების მიტაცების ფაქტები. თუმცა, გამოვლენის შემდეგაც მასალები ხშირად უმოძრაოდ ძევს მოსიერაციაში. ასეთი ფაქტები აღინიშნა ბოლნისის, მარნეულის, ოჩამჩირის და სხვა რაიონებში.

ხდება ხოლმე, როცა სისხლის სამართლის საქმეებს აღძრავენ შნიშვნელოვანი დაგვიანებით. მაგალითად, ბ. რამაზანოვმა ჯერ კიდევ 1962 წელს მოითვისა 760 კვადრატული მეტრი მიწა, მაგრამ ეს ფაქტი გამოაშკარავდა მხოლოდ 23 წლის შემდეგ, როდესაც ხელმძღვანელობა შეიცვალა ბოლნისის რაიონის რატევანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში. ნეოფე ამდენი ხნის მანძილზე მეურნეობაში, სოფლსაბჭოში, მილიციაში არაფერი არ იცოდნენ დარღვევის შესახებ?

არადა, ასეთი წაყრეება ფრიად ართულებს სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებას სახლების დანგრევისა და მიტაცებული მიწების ჩამორთმევის ნაწილში. იგივე რამაზანოვმა და მისი ოჯახის წევრებმა აქტიური წინააღმდეგობა გაუწიეს ხელისუფლების წარმომადგენლებს ნაკვეთის ჩამორთმევის დროს. 1986 წელს სოფლების ქსნისა და ხიდისყურის პრაქტიკულად მთელი მოსახლეობა წინაღუდგა კასპის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებას ექვსი მოქალაქის მიმართ, რომლებმაც 1979-83 წლებში მიითვისეს მიწის ნაკვეთები რკინიგზის განკიცრძობულ ზოლში და იქ სახლები აიშენეს. ამავე დროს სასამართლოს მუშაკებს ჯეროვნად არ დაეხმარნენ სასოფლო საბჭოს წარმომადგენლები. მსგავსი მიზეზებით, ეჭიაურდებოდა სასამართლოს შვიდი გადაწყვეტილების შესრულება, რომლებიც იანვარ-თებერვალშია გამოტანილი ყვარლის რაიონში.

ზოგჯერ სასამართლო გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობა მეურნეობათა ხელმძღვანელობის პოზიციით არის გამოწვეული. კერძოდ, მარნეულის რაიონის აღამდელის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ვ. ბადალოვი) წლების მანძილზე არ იღებს სასამართლოს მიერ ჩამორთმეულ მიწის ნაკვეთებს, თუმცა სასამართლომ მარტო მიმდინარე წელს უკვე ორჯერ მიმართა რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს. ბოლნისის რაიონში მეურნეობებმა არ მიიღეს ზომები 1987 წელს სპეციალური კომისიის საქმიანობის შედეგად დაბრუნებული მიწების დასამუშავებლად, ხოლო თვით კომისია დასჯერდა ნაკვეთის მიტაცების ფაქტის კონსტატაციას და ღობის მოშლას. ყოველივე ამან ხელი შეუწყო იგივე პირთა მიერ ნაკვეთების განმეორებით ხელში ჩაგდებას, რაც მხოლოდ მომდინარე წელს გამოვლინდა. სხვათა შორის, საბჭოთა მეურნეობის მიწის თვითნებური მითვისების პირობებს ხშირად ქმნის მეზობელ ნაკვეთებს შორის იმ მიწის ზოლების არსებობა, რომლებიც მეურნეობებს ეკუთვნის, მაგრამ ისინი მათ არ აუშაუავებენ.

ზოგიერთ რაიონში გამოვლინდა მიწის ნაკვეთების მრავალგზის მიტაცების ფაქტები. მაგალითად, ზ. ნაგიევმა მარნეულის რაიონის სოფელ ყასუმლოში 1983 წელს მითვისა 400 კვადრატული მეტრი მიწა, ხოლო ორი წლის შემდეგ მას კიდევ ათასხუთასი მეტრი მიუმატა. მეზობელს არ ჩამორჩა არც მ. ასკეროვი, რომელმაც საერო ანგარიშით მიიტაცა 3.100 კვადრატული მეტრი მიწა. უფრო მეტიც, ბოლნისისა და კასპის რაიონებში არის ფაქტები, როცა სოფლის მცხოვრებნი არაერთგზის იტაცებდნენ მიწის ნაკვეთებს, რომლებსაც მათ შემდეგ ჩამოართმევდნენ ხოლმე, მერე კი ყველაფერი თავიდან მეორდებოდა — სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე. ამასთან დაკავშირებით კოლეგიამ მართლზომიერად ცნო საზოგადოებრიობის მოთხოვნა გამკაცრდეს პასუხისმგებლობა ასეთი მოქმედებისათვის. მიზანშეწონილად არის მიჩნეული აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლში საჭირო ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

შექმნილ ვითარებაში არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ სახელმწიფო მიწების მიტაცებისა და დანიავების პრაქტიკამ, შესაბამისი ორგანოების მხრივ მოცემული საკითხისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულება წარმოშობს ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი ნამდვილად არიან დაინტერესებული რესპუბლიკისათვის აქტუალური პრობლემის გადაწყვეტით. ეს თქვეს იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრებმაც და სხდომაზე მიწვეულმა ამხანაგებმაც. კერძოდ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გურამ ფანჯიკიძემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ თანამდებობის პირებისათვის, რომლებსაც არ სურთ კარდინალურად შეცვალონ სიტუაცია, უბრალოდ უცხოა ეროვნული ინტერესები, და ამას, საბოლოო ანგარიშით, შეიძლება მოჰყვეს მძიმე შედეგი. პოეტმა კობა არაბულმა თქვა, რომ 150 ლეკური ოჯახს სურს გადავიდეს ყვარლის რაიონიდან დაღესტანში, მაგრამ მათ იქ არ იღებენ. საჭიროა ამ ოჯახებს გაეწიოთ ხელშეწყობა მშობლიურ მიწა-წყალზე დასაბრუნებლად, რათა გამოვიყენონ ყოველი შესაძლებლობა შეუქმნათ საქართველოს მკვიდრ მოსახლეობას სამშობლოში ბინადრობის ჯეროვანი პირობები.

კოლეგიის სხდომაზე აღინიშნა, რომ იუსტიციის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს, სხვა უწყებებთან ერთად, თავის დროზე გამოეპართ რესპუბლიკაში საგანგაშო ვითარების შექმნის წინამძღვრები, მათ საჭირო პრინციპულობით არ დააყენეს საკითხი ზემდგომ ინსტანციებში, არ განახორციელეს მიწათსარგებლობის კანონმდებლობის ფართო მასშტაბის პროპაგანდა.

კოლეგიამ დაამტკიცა მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დაცვის ღონისძიებათა გეგმა. ყველა ის პირი, ვისაც ბრალი მიუძღვის წინათ დაშვებულ დარღვევებში, მიეცემოდა მკაცრ დისციპლინურ პასუხისგებაში. შემუშავებული სხვა კონკრეტული ღონისძიებები მიწის კანონმდებლობის განუხრელი დაცვის, მიწათსარგებლობის ოპტიმალური რეჟიმის უზრუნველყოფისათვის.

(საქინფორმი).





სურათებზე: ასეთ კოტეჯებში ცხოვრობენ აჭარელები; საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის კომპლექსი.

საქინფორმის ფოტო.

აჭარა: იმედის ნათელი

დახმარების ფონდში

● **საგარეჯო.** („კომუნისტის“ საკ. კორ.) სტეჟიისაგან დაზარალებულ აჭარელთა დასახმარებლად საგარეჯოელებიც აგროვებენ სანოვაგეს. საგარეჯოს ავტოსატრანსპორტო საწარმომ ერთ-ერთმა პირველმა შეიტანა დახმარების ფონდში 5.000 მანეთი. ავტოსატრანსპორტო საწარმოს ბეჭრმა მიბაძა. მაგალითად, მელეოორაციის და წყალთა მეურნეობის სამმართველომ 3.000 მანეთი გაიღო.

● **ბათუმი.** („კომუნისტის“ საკ. კორ.). აჭარის მაღალმთიან რაიონებში სტეჟიური უბედურებისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების ფონდში დოსაააფის აჭარის საოლქო კომიტეტმა გადარიცხა 10.300 მანეთი, საქმაყალეის ადმინისტრაციამ — 1000 მანეთი და მუშაკთა პირადი დანაზოგი — 416 მანეთი, ბათუმის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ — 1100 მანეთი, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციის კოლექტივმა — 2000 მანეთი.

● **9 აპრილის** სისხლიანი კვირის ტრაგედიის შემდეგ მთიანი აჭარის მოსახლეობის თავზე დამტყარმა დიდმა უბედურებამ და გასაჭირმა შესძრა და ფეხზე დააყენა მთელი ერი. საქართველოს ყველა კუთხე, დიდი თუ პატარა, გულმხურვალედ გამოეხმაურა, დახმარების ხელი გაუწოდა საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის მცხოვრებლებს, რომლებსაც ბედმა არგუნა აყრილიყო მამაპაპური საცხოვრისიდან.

ამ ძნელბედობის ჟამს მშენებლობისა და სამშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ერთხმად გადაწყვიტა აჭარაში მეწყერებისაგან დაზარალებული ოჯახების დახმარების ფონდში თანხის მიუჯიტებიდან გადარიცხოს 60 ათასი მანეთი. ვფიქრობთ, ეს მოკრძალებული თანხა რამდენადმე მაინც შეუწყობს ხელს აჭარის შემდგომ აღორძინებას.

ა. კოკლატაძე,
მშენებლობისა და სამშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

● **საქართველოს** სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის კოლექტივმა თავის საერთო კრებაზე გადაწყვიტა სტეჟიური უბედურების შედეგად დაზარალებული მთიანი აჭარის მცხოვრებთა დახმარების ფონდში გადარიცხოს 10 ათასი მანეთი და შექმნას ათკაციანი ბრიგადა, რომლის წევრები თავიანთი შვებულების დროს მონაწილეობას მიიღებენ ჩამოსახლებულთათვის ბინების მშენებლობაში. (საქინფორმი).

სტეჟია და ადამიანები

სასოწარკვეთილებიდან იმედისაკენ...

სურათებზე: ასეთ კოტეჯებში ცხოვრობენ აჭარელები; საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის კომპლექსი.

საქინფორმის ფოტო.

აი, უკვე ერთი თვეა, რაც თეთრი წყაროს რაიონის სამღერეთის მეცხოველეობის კომპლექსში მუშაობენ მთიანი აჭარიდან გადმოსახლებულნი, რომლებიც სტეჟიამ დაიზარალა. ეს არის რვა კაცი — მამაკაცები, ყველა ახალგაზრდა. ეს ბიჭები, ეს ბავშვები, ეს ოჯახებს აქ დასახლებას მრავალრიცხოვან ოჯახებთან ერთად.

— ჩვენს რაიონში — სოფლებში დაღეთში, სამღერეთში, მენქალისში, ახალაფაში, შეხვეტილასა და ვარხენოში, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში თეთრი წყაროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ივანე მეგრელაშვილმა, — უახლოეს ხანში სულ 300 ოჯახი დასახლდება. ჯერჯერობით ჩამოდიან ამ ოჯახების მეთაურები, რათა დაათვალიერონ საკარმიდამო ნაკვეთი, ფეხი მოიკიდონ აქ. ყოველ ოჯახს ვაძლევთ 25 მეასედ ჰექტარ მიწას. სახლების მშენებლობაში მონაწილეობას მიიღებენ „ცეკავშირი“, სახაზრომრეწვი და ქალაქ თბილისის ლენინის რაიონი.

მაგრამ გვაწუხებს მშენებელთა ნელი ტემპი. ასაშენებელია არა მარტო სახლები, არამედ მოსაგვარებელია წყალმომარაგებაც, ელექტროენერგიის მიმწოდებელი ბაზების და გზების გაყვანაც. ოვასსწრებთ კი ყოველივე ამას აცივებამდე? საქმე ის გახლავთ, რომ „საქაგრომშენს“, რომელიც უკვე სამი წელია აშენებს სოფლებს სვანებისათვის, რომლებიც აგრეთვე სტეჟიით დაზარალებული ადგილებიდან გადმოსახლდნენ, ჯერაც არ დაუთავრებია გათვალისწინებული სამუშაოები ხაიშში, გოლთეთში, ჭივჭავასა და ახალ დიდგორში, დღესაც არ არის შესაფერისი გზები, არ გაუყვანიათ წყალსადენი ქსელი, ყველა სახლში არ არის ელექტრონობა. და თუ დავძენთ იმასაც, რომ აგრომშენებლებმა სამი წლის განმავლობაში ვერ მოახერხეს თეძარ წყაროში ჩაებარებინათ კულტურის სახლი, ვფიქრობ, ჩემი შიში გამართლებულია.

... მეცხოველეობის ფერმაში ჩვენ შეგხვდით ახალმოსახლეებს ჯუმბერ და იოსებ აბულაძეებს. მათ გვითხრეს, რომ მოსწონთ თეთრი წყაროო, გადაწყვიტეს აქ დამკვიდრდნენ.

— გვინდა რაც შეიძლება მალე დავსახლდეთ და მოვიწყოთ, — თქვა იოსებ აბულაძემ, — მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი საქმეა გასაკეთებელი, ის კი ნება „მიდის წინ“. ამასობაში ჩვენი ოჯახები აჭარაში ნათესავებს არიან შეკედლებული.

ჩამოსულები მეცხოველეობის კომპლექსის კოტეჯებში არიან დაბინავებული.

მთიანი აჭარიდან გადმოსახლებულნი იმედით ცხოვრობენ. დაე, გაუმართლდეთ ეს იმედი.

თენგიზ ჩხეიძაძე,
საქინფორმის კორ.

ქმედითობა

ელექტრონს ელოდება ფუავი

„კომუნისტი“, 1989 წლის 20 იანვარი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს „საქენერგოს“ გენერალური დირექტორის მოადგილე ს. ბაბაშაძე:

უკანა ფშავის ეკანონომიკის 10 და 0,4 კილოვოლტის ელექტროელექტრული ხაზი ამენებული 1985 წელს, 1986 წელს დაიწყო მშენებლობა. გეგმით გათვალისწინებული იყო მშენებლობის დამთავრება 1987 წელს. ამ წელს სტიქიის შედეგად, ისე როგორც რესპუბლიკის სხვა რაიონებში, დაინგრა აღნიშნული ხაზის ამენებული მონაკვეთის დიდი ნაწილი. იმ წელს პროექტირების ლიმიტები და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ძირითადად მეცხოლისა და ლენტეხის რაიონებიდან ჩამოსახლებულთა ახლად შექმნილი დასახლებების ელექტრიფიკაციას მოხმარდა.

1988 წელს შევადგინეთ უკანა ფშავის არა მარტო ეკანონომიკის, არამედ სოფლების ხალისპალის, გოგლურთას, მეტკოს, ხოშარაულა და უკანა ფშავის ელექტრიფიკაციისა და დანგრეული 10 კილოვოლტის ელექტრომგადამცემი ხაზის აღდგენის ახალი პროექტი, რომლის რეალიზაცია გათვალისწინებულია მომდინარე 1989 წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმით.

საქენერგო ყველაფერს იღონებს გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად.

ვისია ბაგაზე დაბმული პირუტყვი?

„კომუნისტი“, 1989 წლის 10 თებერვალი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ვ. აბრამიშვილი:

ფერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა. გორის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა იმსჯელა ქვახვრელის და ზერტის კოლმეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე და საყვედური გამოუცხადა შესაბამისი კოლმეურნეობების კაბეგობათა თავმჯდომარეებს მ. საათაშვილს და გ. მირუაშვილს. საყვედური გამოეცხადა საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს გ. შატაკიშვილსაც ქვახვრელის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მშენებლობაზე უხარისხოდ შესრულებული სამუშაოებისა და საექსპლოატაციოდ მისი ვადების დარღვევით გადაცემისათვის.

მინას გავშეფრთხილდით, მინას!

„კომუნისტი“, 1989 წლის 15 თებერვალი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს პარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი ე. ბერიძე:

საჩხერის რაიონის ხოდაბუნის ტერიტორიად წოდებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირების თაობაზე სტატიაში გამოთქმული მოსაზრება სწორია. 1983-1988 წლებში აქ მართლაც დაიკარგა 50 ჰექტარი სარწყავ-სახნავი მიწის ფართობი.

სანქმე ის არის, რომ ჩიხის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ, ზემდგომი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე, 1983 წლის 30 მარტისა და 25 ნოემბრის დადგენილებებით საჩხერის ბაშის, სართავ ფაბრიკას წყალსადენის სათავე ნაგებობისათვის გამოუყო 10 ჰექტარი სავარგული, ხოლო ქალაქ ჭიათურას — 20 ჰექტარი ამავე დანიშნულებით.

1987 წელს იტავაზის კვარცის ქვიშების არასწორი ექსპლოატაციისაგან სტეჟიური ტრაგედიის საშიშროების წინაშე მდგარი ხოფელ იაქსის მოსახლეობის პრობლემის გადასაწყვეტად რაიონის ხელმძღვანელობამ ორჯერ შეარჩია სათანადო ადგილი სავანის კოლმეურნეობაში, მაგრამ დაზარალებულება იქ გადასახლებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. მათი დაჟინებული მოთხოვნით მთავრობის სპეციალურმა კომისიამ, „საქსახმიწპროექტის“ სპეციალისტებთან ერთად, ადგილზე შეისწავლა მდგომარეობა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება იქელთა ახალი დასახლების მშენებლობისათვის საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კუთვნილი 20 ჰექტარი მიწის გამოყოფის თაობაზე, რაც გადაწყდა კიდეც. ყოველივე ზემოაღნიშნულმა გამოიწვია სახნავ-სავარგულების შემცირება.

პარტიის რაიონული კომიტეტი ყოველ ღონეს იხმარს ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შენარჩუნების და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მათი გამოყენების აღკვეთისათვის.

მინას გულშემატკივარი პატრონი სჭირდება

„კომუნისტი“, 1989 წლის 12 მარტი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს პარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი ტ. პეტაშვილი:

მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამეზი ორგანოებისათვის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებისა და ცალკეული საზოგადოებრივი მეურნეობების მიმართ სტატიაში გამოთქმული კრიტიკა სამართლიანია.

მათი გათვალისწინებით პარტიის რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა და აგროსამრეწველო გაერთიანებამ განახორციელეს სათანადო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რის შედეგადაც წარმატებით იქნა შესრულებული სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები.

ამასთანავე, პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომამ, რომელმაც განიხილა აღნიშნული სტატია, მიიღო შესაბამისი დადგენილება. საზოგადოებრივ მეურნეობებსა და აგროსამრეწველო გაერთიანებას დაევალათ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ეკონომიკის განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფეს აღმოფხვრას, საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპის შემდგომ დაჩქარებას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას, 1989 წლის და მთლიანად შეთორმეტე ხუთწლედისათვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. მათვე რეკომენდაცია მიეცათ გაბედულად დანერგონ შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ოჯახისა და სანარდო ურთიერთობების გამოყენებას.

პარტიის რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი და აგროსამრეწველო გაერთიანება ქმედითს ღონისძიებებს განახორციელებენ, რათა წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი.

ვაგონები დაგორდა

„კომუნისტი“, 1989 წლის 15 თებერვალი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე, უსაფრთხოების მთავარი რევიზორი ლ. ბარუშევანი:

სადგურ მუხიანიდან ვაგონების დაგორების შემთხვევა განიხილა ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ვაგონების დაგორება გამოიწვია სამანევრო სამუშაოების დროს წესების უხეშმა დარღვევამ. აღნიშნული მოთხოვნებისა და წესების უგულებელყოფისათვის მუხიანის სადგურის უფროსი ვ. წიქორიძე მიჩნეული იქნა თანამდებობისათვის შეუფერებელ პირად. სადგურის მორიგეს რ. ფხაკაძეს და უფროს კონდუქტორს ვ. კილაძეს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური, ხოლო სამტრედიის გასაყოფილების სატვირთო გადაზიდვების უფროსს ი. ტაბიძეს და მის მოადგილეს რ. კაჭარავას — საყვედური. კონდუქტორთა რეზერვის უფროსი დ. სტურუა განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით არსებული მასალები გამოსაძიებლად გადაეცა სამტრედიის სატრანსპორტო პროკურატურას.

შემდგომში ასეთი შემთხვევების პროფილაქტიკის მიზნით დასახულია მთელი რიგი შესაბამისი ღონისძიებები.

ერთხელ კიდევ მინის ტარის ჩამბარებლებზე

„კომუნისტი“, 1989 წლის 26 თებერვალი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ა. ჩხეიძე:

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო აღნიშნულ კრიტიკულ შენიშვნასთან დაკავშირებით გაცნობებთ: როგორც თბილისის საცალო ვაჭრობის სამმართველო გვატყობინებს. მათი დაქვემდებარებული მინის ტარის მიმღები საქალაქო პუნქტები საერთოდ არ ყიდულობენ მოსახლეობისაგან ბინაზე მინის ჭურჭელს. როგორც დადგინდა, გაერთიანება „თბილისეფინოსთან“ შექმნილია კოოპერატივი, რომელიც უშუალოდ მოსახლეობისაგან ყიდულობს მინის ტარას, რომელსაც შემდგომ უშუალოდ აბარებს

წერილები „კომუნისტს“

რას ფიქრობს ხალხი

სტრიქონები რედაქციაში შემოსული ბარათებიდან

ამდენი ითქვა, რამდენი დაიწერა! რედაქციაში კი კვლავაც დასტა-დასტა მოდის ბარათები, 9 აპრილს დატრიალებულ ტრაგედიას რომ ეხმიანება; არა და არ ყუჩდება ტკივილი, არა და არ იკრავს პირს იარა. აქ, ამ ბარათებში, ათასობით, ათი ათასობით ჩვენგანის უსასოო სევდა, მწუხარე ფიქრი, სამართლიანი მრისხანების გრძნობა და თანალმობა, ეჭვი და იმედი დავანებული.

და მაინც, ერთად აღებული იგი უპირველესად — ნუგეშის სიტყვაა, სიტყვა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით ნასაზრდოები.

თავს დატეხილი უბედურების ყამს ჩვენ ერთად ვართ და ვეარაფერი გასტეხს ჩვენს რწმენას! — ღაღადებენ ეს ნერილები, ეკვიემები.

კიდევ ერთხელ ერთად გადავავლოთ თვალი მათ. ყური მივუგდოთ, რას ფიქრობს ხალხი, რა ტკივილები გვისერავს გულს, რა რწმენა გვასულდგმულებს...

„**ბანა** რა დრო უნდა გავიდეს, აპრილის ტრაგედია რომ დაგვავიწყდეს, ხალხის ხსოვნიდან ამოშალოს ის მწარე წამი, როცა უმწეო მომტანნგეთა თავზე ორლესული ნიჩბები აღიმართა და მრისხანე სპრძოლო მანქანების ხმაურში ჩაეხმო ტკბილი სიმღერა საქართველოზე.

რა დაგვაჯერებს, რომ ამ გაუგონარი ულმობლობისა და ცინიზმის მთელი ჯაჭვი, დემონსტრაციის დაობევდან დაწყებული სამგლოვიარო ცერემონიის სიონის ტაძართან დადანაცვლებამდე რომ გრძელდებოდა, მხოლოდ საბედისწერო შეცდომათა წყება იყო და სხვა არაფერი.

მე მწამს, სიმართლე გაიკვეთა. ისტორიაც თავის მიუკერძოებელ სიტყვას იტყვის, ჩვენ კი ფუდანაშაულად განწირულთა ხსოვნა გვაკალებს დავიწყებას არ მივცეთ მათი სახელები.

იქნება ამიერიდან უკვდავების ბაღი ვეუწოდოთ კომუნარების ბაღის ზედა ნაწილს — ძნელაძის ქუჩიდან ვიდრე რუსთაველის პროსპექტამდე — ქართული მიწის ამ პაწაწინა ნაწილს, რომელიც 9 მარტისა და 9 აპრილის ტრაგედიათა უტყვი მოწმეა. აქ მოვაწყოთ მემორიალი, ავანთოთ მარადიული ჩირაღდანი, დაღუპულთა სახელზე ვაბაროთ ხეები, ვაჩუჩუნოთ ქართული წყარონი.

თენგიზ თომაძე,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, პოლიგრაფისტი“.

„**აპრილის** ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნა უნდა უკვდავყოთ. ვფიქრობ, სწორედაც 9 აპრილი დავაწესოთ მთელს საქართველოში ხსოვნის დღედ.

მირიან ქურთიშვილი,
თბილისი, 103-ე საშუალო სკოლის პედაგოგი“.

„**იმ** ტრაგედიის გამართლებას, რომელიც 9 აპრილს დატრიალდა თბილისში, მთავრობის სახლთან, ეერასდროს ვერავინ შეძლებს.

ახალგაზრდებს კი არა, მე, მათ მასწავლებელს, აღმზრდელს, ვერავინ დამაჯერებს, რომ ხელმძღვანელობა, რომელმაც ვერ შეძლო უნარიანად წარემართა პროცესები. რესპუბლიკაში, უცოდველია და არაფერზე პასუხს არ აგებს. ვგმობ, როგორც არაფრამალურ გაერთიანებათა ლიდერების საქციელს, რომლის გამოც უფსკრულის პირას აღმოვჩნდით, ისე ოფიციალურ ხელისუფალთა გადაწყვეტილებას — უკიდურესი საშუალებები გამოეყენებინა უსანქციო მიტინგის დასაშლელად.

იმედი მაქვს, დრო ყველაფერს თვის სახელს დაარქმევს და ყველას თავისას მიუზღავს, ახლა კი ყველას როგორც არასდროს, გემარჯვებს გონიერება და მოთმინება. რა გინდ მწარეც უნდა იყოს 9 აპრილის გაკვეთილი, მან მაინც ბევრი რამ გვასწავლა.

„**9 აპრილს** მომხდარი ტრაგედია ნებისთ თუ უნებლიეთ გახაწყობს მოქალაქეებს უფრო ღრმად ჩაუფიქრდეს იმ ყოფით მოვლენებს, რომლებითაც აღსავსეა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება.

სავსებით ცხადია, რომ ჩვენს საზოგადოებაში არსებული მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი განსაკუთრებით გართულდა ეროვნულ პრობლემებთან დაკავშირებით. საზოგადოებრიობას ეს პრობლემები გადაუჭრელად მიანნია დღემდე.

სწორედ ამიტომ რესპუბლიკის პარტიულ-ადმინისტრაციულმა ხელმძღვანელობამ უნდა გამოკვეთოს მკაფიო, პრაქტიკული პოზიცია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა:

— ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გამოყენებისმარება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საწარმო-ორგანიზაციებში;

— აფხაზეთის, ასსრ-ში ჭეშმარიტ დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული საკადრო პოლიტიკის განხორციელება, ისტორიულ სინამდვილეზე დაფუძნებული ეროვნული საკითხის მოგვარება;

— საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების უკანონოდ დატაცების აღკვეთა (ყვარლისა და მარნეულის რაიონების მაგალითებზე);

— სამხრეთ საქართველოს რეგიონალური პრობლემა;

— დემოგრაფიული პრობლემა;

— ეკოლოგიური პრობლემა (ახალი საწარმოო სიმძლავრეების გაშვების, ბესების, ტყის მასივების ჩეხვის მაგალითებზე) და სხვა.

ავლენენ თუ არა სათანადო პოლიტიკურ აქტიურობას ცალკეული პასუხისმგებელი მუშაკები ჩვენს საზოგადოებაში არსებული პრობლემების გადაწყვეტისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის საკითხებში?

თვით ის ფაქტი, რომ საზოგადოების იდეოლოგიური უზრუნველყოფა მისი ცხოვრების ყველაზე რთულ პერიოდებში ძირითადად შემოქმედებით ინტერვიუირების მრგვლს აწევს, დამაფიქრებელიცაა.

ხომ არ არის ცალკეული პასუხისმგებელი მუშაკის დაბალი პოლიტიკური აქტიურობა განპირობებული მისი არასაკმარისი პოლიტიკური მომზადებითაც...

ა. ცქიტიშვილი,
ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი.“

„**საქართველო** — ჩემი სიყვარულო, ჩემო ტკივილო (ამ სტრიქონს ზაპორიჟიის ოლქის მკვიდრი ქართულად წერს — **რედ.**).

რა არის ეს? მე ხომ არ მომითხოვია საკომენდანტო საათის შემოღება, მე ხომ არ მეპყრა ხელთ ცრემლსადენი ხელაუმბარები და მესანგრის ორლესული ნიჩბები, ბოლოს დაბოლოს, ჩემი ნათესავები ხომ არ დაღუპულან იმ საშინელ ღამეს!.. რატომ განვიცდი ასეთ საშინელ ტკივილს? რა არის ჩემთვის, მოხუცი სოფლის მასწავლებლისთვის, საქართველო?

თუ ვიტყვი საქართველო ჩემთვის მთაწმიდაა და ბაგრატის ტაძარი, თამარის ციხე, გალაკტიონი და ნოდარია-მეთქი, სიმართლე იქნება, მაგრამ ყველაფერი — არა, რადგან საქართველო ჩემთვის უწინარესად მისი ხალხია — მთელი ქართველი ხალხი..

9 აპრილის ტრაგედიაში ბევრია დამნაშავე, ოღონდაც ჩემი რწმენით, ეროვნული წარმომავლობა აქ არაფერ შუაშია. ჩვენ ხომ არ გვითხოვია — დედა, რუსად, ტაჯიკად, ქართველად, უკრაინელად გამაჩინეო... „რაცა ვის რომ ბედმან მისცეს“...

გამხნევდი.

ჩენი ჭირიმე, საქართველო! (ბოლო სამ სტრიქონსაც ავტორი ქართულად წერს — **რედ**).

იოსებ კლიმოვეცკი,
ზაპოროჟიის ოლქი, ვასილევის რაიონი, სკელკა“.

„**44 წლის** კაცი პირველად ვწერ წერილს რედაქციას. ის კი არადა, 9 აპრილის ტრაგედიამ ლექსიც დამაწერინა. ვბედავ გიგზავნით:

„ძმაო, რა გაგჭირვებია, მითხარ ალალი გულითა, იქნება რამე გაწუხებს, იქნებ სისხლი გდის წყლულიდან, სტუმარი ხომ არ გოლალობს, ქვა ხომ არ დაგქმს უბითა.“

„შენთან ერთად ვარ, ქართველო, მუდამ ჭირსა და ლხინშია, ვერც მტერმა, ვერცა დუშმანმა ვერ გაჰყო ჩენი ჯიშია, ერთი დროშის ქვეშ ვიბრძოდით, მტერთან არ ვეშაბეთ შიშია.

„ერთია ჩენი ადათი, ჩენი წესებიც ერთია, საყდარში ერთად ვლოცულობთ, ამის ‘მოწმე ღმერთია, ჭირ-ვარამს ერთად ვიყოფდით, ჩენი სამშობლოც ერთია“.

„ოსური სირჩით დაგლოცავთ, გმასპინძლობთ ხაბზგინებით, შავ ზღვიდან დარუბანდამდის, ძმანო, ნუ შემიშინდებით, თუ გაუჭირდა სამშობლოს, მეც თქვენთან ერთად ვიქნები“.

„კვლავ და კვლავ სიბრძნეს მოვუხმობთ, ნუ შეიქმნება ქაოსი, ყმანინ ამრავლეთ, ქართველნო, მომავალ საქართველოსთვის“.

გიორგი ქარქუზაევი,
თბილისი, კვანტალიანის ქ. № 86.“

„**ქუთაისის** პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლები ნანადადებას ვაყენებთ გამოქვეყნდეს მილიციის იმ მუშაკთა გვარები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს 9 აპრილის ტრაგედიის დროს მოქალაქეთა გადარჩენისას. ისინი წარდგენილი უნდა იქნენ მთავრობის ჯილდოებზე.

ხელს აწერს 26 კაცი“.

„**როდესაც** სასაფლაოზე მიხდება წასვლა, ხანდახან აქა-იქ წავაწყდები ხოლმე წარწერას— „გარდიცვალა 1956 წლის 9 მარტს“. იმწამსვე ძველი იარა დამიწყებს ხოლმე ტკივილს, რადგან კარგად მახსოვს ის ავბედითი დღე. მაშინაც ხომ უმთავრესად ახალგაზრდობა დაიღუპა. მათი საფლავები სხვადასხვა სასაფლაოზეა მიმოფანტული და ასე შემთხვევით თუ წაიწყდება ადამიანი. იქნებ, ვიღრე ჯერ კიდევ გვიანი არ არის, დადგინდეს 1956 წლის მსხვერპლთა სია და გაკეთდეს ობელისკი, სადაც აღინიშნება 1956 და 1989 წლების მსხვერპლთა გვარები. ეს იქნება ადგილი, სადაც მომავალი თაობებიც მივლენ და თავიანთ პატივისცემას გამოხატავენ მათი ხსოვნის წინაშე მარტისა და აპრილის დღეებში. სიების დადგენა, ალბათ, უნდა იკისროს ისეთმა ორგანიზაციამ, როგორიცაა რუსთაველის საზოგადოება. კარგი იქნება თუ ამ წინადადებაზე აზრს გამოთქვამს ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა.

ჯიმშერ მუჯირი,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“.

„...ლამაზი, ნაზი, გამხდარი ქალი ლერწამივით უღონო ჩანდა, მაგრამ სულიერი ძალა ჰქონდა დიდი, რა გაჭირვება უნდა დადგომოდა მახლობელს, რომ გვერდით არ გაჩენოდა სიკეთით სავსე და მალამოდ არ დადებოდა. პროფესიონალ-მათემატიკოსს, მეცნიერებათა კანდიდატს, გატაცებით უყვარდა ხელოვნება და მხატვრული ლიტერატურა, ბევრს კითხულობდა, ქართულ პოეზიას ეთაყვანებოდა. „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია“... აკი ‘ დადგა კიდეც და იმ ავად მოვარდნილ

სანდრო მამასახლისის ფოტო.

ციხანა გვრიტიშვილი,
ეკონომისტი, 5 შვილის დედა, თბილისი“.

„**ის**, რაც 9 აპრილის ღამეს მოხდა, ტრაგედიაა მთელი საქართველოსთვის, ყველა ქართველისთვის, ყოველი პატიოსანი ადამიანისთვის.

დაე, დაღუპულთა ახლობლებს ანუგეშებდეთ აზრი, რომ ის, ვინც სამშობლომ დაიტირა, არ მომკვდარა.

ყველამ იცოდეს, ჭირშიც და ლხინშიც ერთად ვიქნებით.

ოჩამჩირის რაიონის სოფელი კოჩარა,
კოლმეურნეობა „საქართველო“

● „**საქართველოთი**“ დავამთავროთ (ამ ისედაც საფიცარ სიტყვაში ხომ ახლა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი შინაარსია!) ჩვენი სარედაქციო ფოსტის ეს თავისებური მოხილვა, რომელმაც, ცხადია, მკითხველთა მცირეზე მცირე ნაწილის სათქმელის გადმოცემა შეძლო.

თუმცა ესეც არის: მასში ათასობით, მილიონობით ადამიანის გულის ხმაა გამოხატული.

რედაქცია მადლობას უხდის ყველა ჩვენს კორესპონდენტს ნდობის, ნრფელი სიტყვის, თანაგრძნობისათვის.

გაჯეროდეთ: თქვენი არცერთი მოსაზრება, არცერთი ბარათი უყურადღებოდ არ დარჩება. ისინი უთუოდ მიაღწევენ ადრესატამდე და შემდგომ ჩვენს მომავალ საქმიანობაშიც ჰპოვებენ ასახვას...

პუბლიკაცია მოამზადა
თეიმურაზ მეტრეველმა.

შოთა ნიშნიანიძე

სიზმრად ვნახე თეთრი გედი

— სიზმრად ვნახე თეთრი გედი... ნეტავ, დედა, რაო?
სანთლები და მგალობლები... ნეტავ, დედა, რაო?
დედი, დედი, თეთრი გედი სულ მე მედარაო,
ფრთას მიქნევდა... და მღეროდა... ნეტავ, დედა, რაო?
— თეთრი გედი მღეროდაო? ვაჰ, შენს დედასაო!
შენც სიმღერით მომიკვდები... ვაჰ, შენს დედასაო!
— ვითომ ჩემი თეთრი კაბა ტალღებს ეფარაო,
შავს მიჰქონდა მდინარესა... ნეტავ, დედა, რაო?
— თეთრი კაბა წყალს მიჰქონდა? ვაჰ, შენს დედასაო!
შვილო, შავეთს გათხოვდები... ვაჰ, შენს დედასაო!
— მიწას ხარი ჩალმუოდა... ნეტავ, დედა, რაო?
— შვილო, მამაშენი არი... ვაჰ, შენს დედასაო!
— აგრე მწარედ რომ ყმუიან, ნეტავ, დედა რაო?
— ეს ალგეთის ლეკვებია, ვაჰ, მათ დედასაო!
— ვითომ, ყვავილები წვიმდა... ნეტავ, დედა, რაო?
— საქართველო ატირდება... ვაჰ, შენს დედასაო!...

მნიშვნელოვანი „დეტალები“

საახელმწიფო კომისია მუშაობს

სულ რამდენიმე დღე რჩება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის გახსნამდე, ეს კი განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის განსაკუთრებით ინტენსიურ მუშაობას 1989 წლის 9 აპრილის გარემოებათა გამოძიებისათვის. მომზადრის გამო დეპუტატთა ჯგუფის მიერ ამ ფორუმზე შეკითხვის წესით საკითხის დასმა, ბუნებრივია, განმტკიცებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტებითა და მასალებით, რომლებიც ობიექტურად წარმოაჩენენ თავად ტრაგედიის არსს, მის სათავეებსა და შედეგებს.

მორიგ სხდომაზე კომისიამ მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ა. ფოფხაძის ინფორმაცია. მან დაწვრილებით ილაპარაკა ტრაგიკული მოვლენების განვითარებამდე და მათს შემდეგ პერიოდში იდეოლოგიური მუშაობის შესახებ, რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცდომებსა და ხარვეზებზე, რომლებმაც განაპირობეს ექსტრემალური სიტუაციის წარმოქმნა, უპასუხა კომისიის წევრთა შეკითხვებს.

(საქინფორმი).

ნ. ფოფხაძემ, კერძოდ თქვა, რომ მომიტინგეთა დაშლასთან დაკავშირებით არაერთი „მნიშვნელოვანი და კონკრეტული ხაკითხი გადაწყდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ბევრი წევრის მონაწილეობის გარეშე. უმნიშვნელოვანესი „დეტალები“, რომლებმაც ოპერაციის განხორციელებისას და მის ტრაგიკულ დასრულებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა, განიხილა რესპუბლიკის თავდაცვის სამბჭომ, რომლის შემადგენლობა მცირერიცხოვანია, თანამდებობრივად — ბედაგოგი, ტიციან ტაბიძის და, ძმა—არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. ისინი რომ გარდაეცვალნენ, საკუთარი ოჯახი შერჩა ნუგეშად—მეუღლე და ვაჟი, ისინიც მათემატიკოსები...

სტუდენტობისას, ორმოციანი წლების მიწურულს, ზაირამ თანაკურსელები მაშინ მკაცრად ტაბუდადებულ ბიძის სახელსა და და მომხიბლავ პოეზიას, ბორის პასტერნაკის ლექსებისა და ტიციანისადმი წერილების სიმშვენიერეს აზიარა. ამისათვისაც ემადლიერებოდნენ მეგობრები, ან რიგასოვის არ ემადლიერებოდნენ...

ზაირა ანდრია ბიწაძის სასაზელო ასპირანტი იყო თავის დროზე, მისი ხელმძღვანელობით დაწერა ერთი მნიშვნელოვანი შრომა, რომელიც ბატონმა ანდრიამ თავის ერთ-ერთ მონოგრაფიაში მოიხსენია. შემდგომ იგი თეორიული კიბერნეტიკით დაინტერესდა და სახეთა გამოცნობის თეორიაში დაიწყო მუშაობა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ზაირა კიკვიძეს არაერთი სახელმწიფო დაკვეთა შეუსრულებია, მათ შორის სამხედროებისთვისაც...

...იმ ტანჯვის ღამეს ორ საათზე წასულა შინ, მაგრამ ქართველისა და დედის გულს არ დაუყენებია, უკანვე დაბრუნებულა, სადაც თანამემაფეებთან ერთად ვაჟი და რძალი ეგულვოდა...

ელენე ოგოლაშვილი,
გაიოზ ხატიაშვილი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

თამაზ ეგანოიძე,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

„**ცრემლი** და გოდება არას გვშველის. ნუ მოიწყენ ჩემო კარგო ქვეყანავ“, მოგვალი შენი შვილებისაა.

მწამს, შრომა, გარჯა, კეთილისგონიერება მიგვიყვანს ტაძრამდე.

გული გერიძე,
გმირი დედა,
ხულოს რაიონი, სოფელი კვატა.“

„**მინდა** მივმართო მთელი საქართველოს ყველა ქალს, ახალგაზრდა და მომავალ დედებს: ძვირფასო ქალებო, მეამაყება, რომ ქეთევან წამებულის ჯიშისა ვარ. გიბრძვი, ვცხოვრობ და ვზრდი შვილებს სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობის რწმენით.

გთხოვთ, მოგიწოდებთ: ნუ იქნებით დაუნდობლები, ახარეთ კვირტები, რომლებიც თქვენი ქალაურობის ნერგზე ამოსულა ლამობს. იყოლეთ შვილები.

გარდაქმნის საფეხურების ავლა ჩვენნაირი მცირე ერისათვის ძნელი იქნება. ამიტომ მოგიწოდებთ გამრავლებისაკენ.

მრავალშვილიანობას შეუძლია სრულიად საქართველოს მშენებლობის საძირკველში მყარი ქვაკუთხედის ჩადება. დაფიქრდით, აწონ-დაწონეთ. იმათ, ვინც ბუნებისაგან ერთხელ ნაბოძები ძვირფასი სიცოცხლე სამშობლოსთვის გაიმეტეს, ჩვენ, ქართველმა ქალებმა, ჩვენი შვილების სიმრავლითა და მათზე დაფიცლავი ზრუნვით ვუპასუხოთ.

ციხანა გვრიტიშვილი,
ეკონომისტი, 5 შვილის დედა, თბილისი“.

უკსიჟითჯი

საკვლევი იუწყება

18 მაისი

● **აშშ**

კონგრესმენი აპრიტიკეს ჯ. გუშის პოზიციას

ვაშინგტონი. ამერიკის ადმინისტრაცია სახელს იტეხს მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში, ვინაიდან არ იჩენს აშკარა ინიციატივას განიარაღების სფეროში და არ აყალიბებს ახლებურ მიდგომას მსოფლიოსადმი. ასეთი აზრი გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში გამართულ მოსმენებზე წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ესპინმა (დემოკრატი, ვისკონსინის შტატისაგან).

მან სერიოზული წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია წინანდებურად თავშეკავების პოზიციას ადგას საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივების მიმართ და არ აყენებს საკუთარ კონსტრუქციულ წინადადებებს. „ეს მარტო პროპაგანდისტული პრობლემა როდია, საქმე გვაქვს არსთან“, — თქვა კონგრესმენმა. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია „რაიმე შემოქმედებითი ინიციატივის წამოყენება, რომლის მიზანი იქნება არსებულ შესაძლებლობათა გამოყენება“. ესპინმა გააკრიტიკა თეთრი სახლის წარმომადგენლის მ. ფიცუოტერის ამასწინანდელი განცხადება, რომელიც არსებითად შეიცავდა ცდას ეჭვის ქვეშ დაეყენებინათ საბჭოთა კავშირის გულწრფელი მისწრაფება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ და მრუდე სარკეში წარმოეჩინათ მოსკოვის სამშვიდობო ინიციატივები. „არა მგონია, რომ მსგავსი განცხადებები, როგორიც მარლინ ფიცუოტერმა გააკეთა, საქმეს შველოდეს“ — აღნიშნა კონგრესმენმა.

◆ **ირანი-სსრ კავშირი**

ურთიერთობის კარგი საფუძველი

თეირანი. **საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას მივიჩნევთ მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს მთელ რეგიონზე. ამ ურთიერთობის განვითარებისათვის სასიკეთო საფუძველი არსებობს. ეს განაცხადა ირანის პრემიერ-მინისტრმა მირ ჰოსეინ მუსავიმ საბჭოთა დელეგაციასა და მის მეთაურთან საბჭოთა კავშირ-ირანის ეკონომიკური თანამშრომლობის მუდმივი კომისიის საბჭოთა ნაწილის თავმჯდომარესთან, სსრ კავშირის გზათა მინისტრთან ნიკოლოზ კონარევთან გამართული შეხვედრის დროს.**

როგორც გაზეთი „აბრარი“ წერს, მუსავიმ ირანში საბჭოთა დელეგაციის ჩამოსვლის შედეგებს „მნიშვნელოვანი და სასარგებლო“ უწოდა. შეეხო რა სსრ კავშირში ირანის პარლამენტის თავმჯდომარის ალი აკბარ ჰაშემი-რაფსანჯანის მომავალ ვიზიტს, პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი ახალ იმპულსს მიანიჭებს ირანისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებას. ირანის მთავრობის მეთაურის აზრით, ორივე ქვეყანას შეუძლია განავითაროს უფრო ფართო თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ველებს საკუთარ კონსტრუქციულ წინადადებებს. „ეს მარტო პროპაგანდისტული პრობლემა როდია, საქმე გვაქვს არსთან“, — თქვა კონგრესმენმა. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია „რაიმე შემოქმედებითი ინიციატივის წამოყენება, რომლის მიზანი იქნება არსებულ შესაძლებლობათა გამოყენება“. ესპინმა გააკრიტიკა თეთრი სახლის წარმომადგენლის მ. ფიცუოტერის ამასწინანდელი განცხადება, რომელიც არსებითად შეიცავდა ცდას ეჭვის ქვეშ დაეყენებინათ საბჭოთა კავშირის გულწრფელი მისწრაფება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ და მრუდე სარკეში წარმოეჩინათ მოსკოვის სამშვიდობო ინიციატივები. „არა მგონია, რომ მსგავსი განცხადებები, როგორიც მარლინ ფიცუოტერმა გააკეთა, საქმეს შველოდეს“ — აღნიშნა კონგრესმენმა.

◆ **ერაყი**

არაბული ქვეყნების მოთხოვნა

ბაღდადი. **აქ გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დასავლეთ აზიის ეკონომიკური და სოციალური კომისიის მე-15 სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობენ ერაყის, იორდანიის, საუდის არაბეთის, ქუვეითის, ლიბანის, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის, მთელი რიგი სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დელეგაციები.**

სესიის გახსნაზე გამოსვლისას, ერაყის პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ თაჰა იასინ რამადანმა აღნიშნა განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის არაბული ქვეყნების, რთული ეკონომიკური მდგომარეობა. მან მოითხოვა სამართლიანად გადაჭრას საგარეო დავალიანების პრობლემები, პოზიტიური ცვლილებები შეტანონ საერთაშორისო სავალუტო და სავაჭრო ურთიერთობაში, განმტკიცდეს არაბული ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა.

სესიის მუშაობის ორი დღის განმავლობაში მისი მონაწილეები განიხილავენ რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, სტიქიურ უბედურებაში მოხვედრილ სახელმწიფოთათვის დახმარების გაწევის გზებს.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **პარაღა. 15-17 მაისს პარაღაში გაიმართა სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის კულტურის, განათლებისა და მეცნიერების დარგში თანამშრომლობის სამთავრობათშორისო კომისიის პირველი სესია, რომელმაც განიხილა ამ დარგებში საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთმოქმედების საკითხები და მისი ეფექტიანობის გადიდების გზები. განიხილეს აგრეთვე 1991-1995 წლებში თანამშრომლობის გეგმის პროექტი.**

● **მანაგუა. ნიკარაგუის მთავრობამ მტკიცე პროტესტი განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას იმის გამო, რომ განაგრძობს პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ომის გაჩაღებას ცენტრალურ ამერიკაში. აქ გამოქვეყნებულ ნოტაში ნათქვამია, რომ შეერთებული შტატები კვლავინდებურად მხარს უჭერს დაქირავებულ კონტრრევოლუციურ ფორმირებებს, რითაც უგულებელყოფს რეგიონის სახელმწიფოთა მეთაურების სალვადორში მიღწეულ სამშვიდობო მორიგებებს.**

◆ **აშშ-სსრ კავშირი**

შეიქმნება კონსორციუმი

ვაშინგტონი. **ვაშინგტონის მაკლინის გარეუბანში მუშაობა დაამთავრა ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს მე-12 წლიურმა კრებამ. ხელი მოაწერეს რამდენიმე შეთანხმებას, რომელთა მიზანია ორი ქვეყნის სავაჭრო, საქმიანი და ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარება.**

ამერიკის შეერთებული შტატების იმ წამყვან კომპანიათა ჯგუფმა, რომლებიც მედიცინის და ჯანმრთელობის დარგის სფეროში მოქმედებენ, ხელი მოაწერა ოქმს იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომ შეიქმნას კონსორციუმი საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, სამედიცინო და მიკრობიოლოგიურ, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციისა და მართვის საშუალებათა მრეწველობასთან ერთად. კონსორციუმის მიზანი იქნება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ საწარმოთა შექმნა სსრ კავშირში იმ პროდუქციის საწარმოებლად, რომელიც აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს, და პირიქით, ახალი საქონლის შექმნა, ერთობლივი კვლევისა და სამუშაოების მოწყობა, ორმხრივი ვაჭრობის განვითარება სამედიცინო ტექნოლოგიის, წამლებისა და მოწყობილობის დარგში, ვალუტის გაცვლის მექანიზმის შემუშავება კონსორციუმის წევრთა ერთობლივი საწარმოებისათვის.

მოვლენის შემდეგ

„ქართველები ადვილად არაფერს ივიწყებენ!..“

ახლახან ჰელსინკში გაიმართა თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის 28-ე მსოფლიო კონგრესი. ეს ინსტიტუტი იუნესკოს ინიციატივით შეიქმნა 1948 წელს. მასში 66 ეროვნული ცენტრი და 9 ასოციაციაა გაერთიანებული. ჰელსინკი ამგვარ კონგრესს მეორედ მასპინძლობდა (პირველად აქ ამგვარი ფორუმი 1959 წელს გაიმართა).

მთელი თვის მანძილზე ჰელსინკში და ფინეთის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა საერთაშორისო კონგრესისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ ამერიკის, იაპონიის, ჩინეთის, ბელგიის და სხვა ქვეყნების (სულ 10 ქვეყანა) თეატრები. საბჭოთა კავშირის თეატრალურ ხელოვნებას ამჯერად რუსთაველის თეატრი წარმოადგენდა.

ფესტივალის ყიურომ სპექტაკლები შერჩია კონგრესის თემატიკის შესაბამისად. ჩვენმა თეატრმა „მეფე ლირი“ წარმოადგინა ორგზის — 8 და 9 მაისს. რუსთაველის თეატრი ერთადერთი იყო, რომელსაც ფინეთის ეროვნული თეატრის შენობა დაეთმო.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ქართული თეატრები აღარ მართავენ წარმოდგენებს.

ჰელსინკის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობაზე უარის თქმა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობამ მრავალ მიზეზთა გამო მიზანშეუწონლად სცნო. ჯერ ერთი, აგერ უკვე ათი წელია, რაც ამ ფესტივალის დირექცია ცდილობს ჩვენი თეატრის მიწვევას და საწადელს (ანუ თანხმობას საკავშირო ორგანოებიდან) როგორც იქნა ახლა მიაღწია.

ამას გარდა, გამოსვლა იმ ქალაქში, სადაც მიღებული იქნა „ადამიანის უფლებათა დეკლარაცია“ და სადაც ამჯერად თავს იყრიდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული თეატრალური მოღვაწე, ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა იმისათვის, რომ 9 აპრილის ეროვნული ტრაგედიის მთელი სიმართლე გვემცნო საზოგადოებისათვის.

ამჯერად მე არ ვილაპარაკებ იმაზე, თუ რა დიდი წარმატება ხვდა სპექტაკლს. მხოლოდ ერთს ვიტყვი — სპექტაკლის ტრაგიკულ ეღერადობაზე უჩვეულოდ დიდი გავლენა მოახდინა 9 აპრილის სისხლიანი დილის ხოცვა-ჟლეტამ. ჩვენი მსახიობები სულ სხვაგვარად აღიქვამენ ახლა ლირის ტრაგედიას, სპექტაკლში ნაჩვენებ მასობრივ მკვლელობას და ნაყოვნელთაო ნგრევას. სპექტაკლმა უფრო მძაფრი, ტრაგიკული აზრი შეიძინა, უფრო პირქუში გახადა მისი საერთო ტონალობა, გაფაართოვდა კონკრეტულ ასოციაციათა წრე.

რეჟისორმა რ. სტურუამ თითქოს ინტუიციით განსჭვრიტა მოსალოდნელი ქაოსი, როცა — კვამლის (თუ გაზის) ნისლში იღუპებინან სულშეზუთული ადამიანები, გამაყრუებელი გრუხუნით ემხობა სამყაროს მატერიალური გარსი. სხვათა შორის, უესტივალის სტუმრებმაც და ჰელსინკის გაზეთების თეატრალურმა კრიტიკოსებმაც აშკარა ანალოგი პოვეს თბილისში მომხდარ ამბებსა და „მეფე ლირს“ შორის: თითქოს რეალური ტრაგედიის პრიზმიდან აღიქვამდნენ ისინი სცენაზე წარმოდგენილი ტრაგედიის პერიპეტიებს.

შექმნილ ვითარებათა გამო სპექტაკლ „მეფე ლირის“ ჩვენება პოლიტიკურ აქციადაც იქცა და ამან კიდევ უფრო გაზარდა მისი მნიშვნელობა.

ქართულ თეატრთან შეხვედრის მოლოდინი კიდევ უფრო დაძაბა 8 მაისის „ჰელსინგინ სანომეტში“ („ჰელსინკის სიტყვა“ — ყოველდღიური, მეტად გავლენიანი გაზეთი. ჩვეულებრივ დღეებში გამოდის გაზეთ „კომუნისტის“ ფორმატის 32-გვერდიანი ნომერი) გამოქვეყნებულმა რ. სტურუასა და რ. ჩხეიკაძის ინტერვიუმ. მკითხველს ვთავაზობთ ამ ინტერვიუს, მცირეოდენი შემოკლებით.

თბილისის ტრაგედია ჯერ არ დამთავრებულა!

ჯარისკაცების მიერ გამოყენებულმა გაზმა მოწამლა თეატრალური ინსტიტუტი და ამის შედეგად ბევრი სტუდენტი და მასხიობი საავადმყოფოებში იყვნენ ჰოსპიტალიზებულნი. „ჩვენთვის. ამჟამად ძნელია თეატრზე საუბარი, ამბობენ შაბათს ჰელსინკში ჩამოსული რუსთაველის სახელობის თეატრის წევრები, საქართველო გლოვითაა მოცული. თეატრებში არავინ დადის.

საქართველოსთვის ახალი ეამთაღრიცხვა დაიწყო. ახლა 9 აპრილამდე და 9 აპრილის შემდეგი დროით ვლაპარაკობთ“.

თეატრის წევრები გვიყვებიან, რომ მდგომარეობა თბილისში მოჩვენებითად წყნარია. პარასკევს შედგა ქალთა ჩუმი დემონსტრაცია. მასში მიიღლოებით ათასმა ქალმა მიიღო მონაწილეობა, რომლებიც შოთხოვდნენ გაზით მოწამლულთათვის წამლებს და დაპატიმრებულთა განთავისუფლებას.

სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა შიშვლობა დაიწყო.

საქართველოს ტრაგიკული ამბები თეატრსაც შეეხო: მისი ორი წევრი ჰოსპიტალიზებული იქნა. თეატრის შენობა იმყოფება იმ ადგილიდან ძალიან ახლოს, სადაც ჯავშანტრანსპორტიორები ხალხს დაერია.

ლირის როლის შემსრულებელი მსახიობი რამაზ ჩხეიკაძე არის საქართველოს უმაღლესი საბჭოს კომისიის წევრი, რომლის მიზანიც ტრაგიკული მოვლენების შესწავლა და დამნაშავეების გამოვლენაა.

თეატრის მხატვრულმა ხელმძღვანელმა რობერტ სტურუამ გვიამბო, რომ როდესაც სიტუაციის ქაოტიური შეიქნა, თეატრის რკინის ჭიშკარი გახსნეს და დაახლოებით 800 ადამიანმა პოვა თავშესაფარი თეატრის შენობაში, მაშინ ჯარისკაცებმა აქ შემოაგდეს მომწამლავი ნივთიერებანი... დაჭრილები სასწრაფო დახმარებას ელოდნენ.

გაზებისაგან მოიწამლა ახლო მდებარე სკოლა და თეატრალური ინსტიტუტი, რის გამოც ისინი დახურეს. თეატრალური ინსტიტუტის ბევრი სტუდენტი ჰოსპიტალიზებულ იქნა.

„დაზარალებულების მდგომარეობა მძიმეა. მხოლოდ რამდენიმე დღის წინ გავიგეთ მომწამლავი გაზის რაობა. წამალი კი ჯერ-ჯერობით არ მიგვიღია“, გვეუბნება სტურუა.

რუსთაველელთა ცნობით დაზარალებულია 2000-მდე კაცი.

სახალხო ეცნობა მდგომარეობას

აკადემიკოსი სახალხო თბილისში იმყოფება ვითარების გასაცნობად. სტურუა კი ჰელსინკიდან დაბრუნების შემდეგ პატაკით გამოვა მოსკოვში თეატრალური საზოგადოების წინაშე.

თბილისი მიელის აგრეთვე საერთაშორისო წითელი ჯვრის კომისიას.

„ბევრს შინაგან ორგანოებზე და ნერვულ სისტემაზე მოქმედი გაზის სიმპტომები მოგვიანებით გამოაჩნდა. მაგალითად, საავადმყოფოში მოხვდა ის 36 ახალგაზრდა, რომლებსაც ყვავილები გადაჰქონდათ იმ საბედისწერო ადგილიდან“.

სტურუა ამბობს, რომ საქართველოში დღეს არავინ არ იცის რა მოხდება მომავალში.

მდგომარეობა დეპრესიულია. ქართველებს ვერაფრით ვერ გაუგია, თუ რად იყო საჭირო მშვიდობიანი მიტინგის ტანკებით დარბევა. „დემონსტრაციებს არც ერთ მომენტში არ დაუღღვევიათ კონსტიტუცია“, ამბობს სტურუა.

„მიტინგი კი არ გარეკეს, არამედ ალყა შემოარტყეს ხალხს. ზოგიერთებს დიდ მანძილზე სდიეს იმ ადგილიდან, სადაც ეს ტრაგედია დატრიალდა. ჯარისკაცები მილიციელებს სცემდნენ იმისათვის, რომ ისინი მშვიდობიან ადამიანებს იცავდნენ. მილიცია რომ არა, მოკლულთა რიცხვი ბევრად მეტი იქნებოდა“.

რუსთაველელთ ჭგონიათ, რომ სხვა ხალხების დასაშინებლად „პერესტროიკის“ მტრებმა ქართველი ხალხი აირჩიეს. მაგრამ რატომ? სხვაგან, მაგალითად, მოლდავეთში, დემონსტრანტებმა ადმინისტრაციული შენობებიც კი აიღეს“.

სტურუას თქმით, იმით, რომ პარტიული ლიდერები შესცავლეს და სხვადასხვა კომეტეტური ნაშუალებები გამოიყენეს, ქართველი ადამიანის გულს ვერ მოიგებენ. „ქართველები ადვილად არაფერს ივიწყებენ“.

„9 აპრილის სიმბოლოდ — ტანკების პირისპირ უძლურების სახედ იქცა ის ჭაბუკი, რომელიც ჩვენი თეატრის წინ ებრძოდა ჯავშნოსანს: — ჯერ ქუჩაში ნაპოვნ ჯოხს ურტყამდა, ხოლო როცა ჯოხი გადაუტყდა, ჯავშანს თავი მიახალა“.

ტანკების მოსვლას წინ უძღოდა „მაამაო ჩვენო“. სტურუა გვიამბობს, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ტელეფონზე დემონსტრანტები წაეყვანა ტაძარში, რადგან იცოდა, რომ ტანკები ბრძანებასა ელოდნენ. პატრიარქის თხოვნით დემონსტრანტები სდუმდნენ. რამაც 10 წუთს გასტანა.

„სიჩუმე ავის მომასწავებელი იყო. სკოლის ბაღში შამშა ისტერიული ბალობა იწყო, თანაც უჩვეულოდ ხმამაღლა. პარადოქსულია, „ლირში“ ჩვენ ასეთი ეპიზოდი გვაქვს: გრძელი, მოლოდინის პაუზა, რომელიც წინ უძღვის მეფის გამოჩენას სცენაზე“.

სტურუა აღწერს დუმილის შემდეგ, მომიტინგეთა „მამაო ჩვენოს“ ლოცვას მუხლმოყრით, რომლის მერეც ტანკები შეესია ხალხს. პატრიარქის მოწოდებით ტაძრის კარი ღია იყო. სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე ათასი დაეტია შიგ.

„ჩვენი ტანჯვა მძიმეა და მას ვერ შეამსუბუქებს მმართველი ორგანოების დაპირება, რომ 26 მაისს — საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, დამოუკიდებელი საქართველოს შავ-თეთრწითელი დროშა უკვე ოფიციალურად იქნება საქართველოს სიმბოლო“.

დაღუკულთა ხსოვნის ლიტურგია

სტურუა გვიყვება, რომ ამჟამად თეატრის მუშაობა თითქოს შეუძლებელია. „არავინ იცის, რა და როგორ აკეთოს თეატრმა თავისი საქმე. შექსპირის სურეალიზმიც კი არ არის ამისათვის საკმაოდ ძლიერი. რუსთაველის გეგმაშია დაღუპულების ხსოვნის და ქართველი ხალხის უიტყვო ლიტურგია.

მისი წარმოდგენა დაგეგმილია საქართველოს დამოუკიდებლობის დღისათვის.

„ლირში“, ისე როგორც სტურუას მიერ დადგმულ რიჩარდ III-ში თამაშობს რამაზ ჩხეიკაძე.

შემოქმედთ ლირის ინტერპრეტაცია მიჰყავთ უკიდურეს პესიმიზმამდე. „კოსტრეტულობამდე მივიყვანეთ ის სიბნელე, რომლის იქითაც, ლირის თქმით, არაფერი ჩანს“, ამბობს სტურუა.

„მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გვინდა მაყურებელი ასოსწარკვეთილებაში ჩაეგდ ო ო თ. გვსურს ისე დავმუხტოთ ისინი, რომ მათ ფიალში ჩაისახოს და მოძრაობა დაიწყოს საწინააღმდეგო აზრებმა“.

„ლირი ასახავს ტოტალიტარიზმის სტრუქტურას. რუსთაველელთა ნაძუ ევეარში სტალინის კრიტიკა კი არა, არამედ საერთოდ დიქტატორული მართვის პოლიტიკის კრიტიკაა“...

8 მაისსვე, პირველი წარმოდგენის დაწყებამდე, ეროვნული თეატრის ფარდის წინ გამოვიდა რ. სტურუა და მაყურებელს მოკლე, მაგრამ მღელვარე და ემოციური სიტყვით მიმართა (თარჯიმანობას უწევდა ქართველი არქიტექტორი რემი სირაძე, რომელიც ათი წელია ჰელსინკში ცხოვრობს): „უკვე ერთი თვეა, რაც ჩვენ თბილისში სპექტაკლებს ალარ ვთამაშობთ, იმ დიდი ტრაგედიის გამო, რომელიც მთელ ქართველ ხალხს დაატყდა თავს. არ ვიცით, როდის და როგორ ვითამაშებთ. ვიდრე გთხოვდეთ, რომ წუთიერი დუმილით გამოვხატოთ ჩვენი პატივისცემა ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნისადმი, მინდა მადლობა გადავუხადო სასტუმრო „თბილისში“ მცხოვრებ იმ ფინელ ტურისტებს, რომლებმაც თავიანთი ოთახების კარები ღაღეს, შეიფარეს დევნილები და ამით უეჭველ სიკვდილს გადაარჩინეს სასოწარკვეთილი ადამიანები, რომელთაც გაცოფებული ჯარისკაცები ალეესილი ნიჩბებით მოსდევდნენ“.

დარბაზი უმალ ფიზზე წამოდგა, დამთრგუნველი სიჩუმე „ლირის“ დასაწყისის ხანგრძლივ პაუზას გადაება...

სპექტაკლს ვრცელი რეცენზიები უძღვნეს ფინურმა და შვედურმა გაზეთებმა. ყველა რეცენზია ერთ ყველაზე ლამაზ და პერსპექტიულ ქუჩას, კუმისაავის მდინარის ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ დარბაზს, რომელიც გამოირჩევა თავისი შესანიშნავი, ლამაზი ფორმებით...

ექსპედიციის წევრები შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ესაუბრნენ მათ, გაეცნენ სარეაქავრაციო სამუშაოთა მიმდინარეობას.

წინ დიდი და არანაკლებ საინტერესო მარშრუტი გველის. მისი ერთ-ერთი მონაკვეთია, ეერძოდ, ერთაფშინდა-ოკონი-მანგლისი, რომელსაც თვედორე მღვდლის მოწამეობრივი სიკვდილის 380 წლისთავს ეუძღვნით. ჩიჯალა აგრეთვე კლდეკარში, სამშვილდეში, ლორეში, ხუნანში, რუსთავში, კოჯორსა და დიდგორში. ექსპედიცია ორ თვეს გასტანს, მომზადდება ტელე და რადიორეპორტაჟები, საგაზეთო პუბლიკაციები, რომლებიც კიდევ უფრო გაგვიფართოებენ წარმოდგენას ჩვენი დიდი წინაპრის პატივსაცემად მისი სახელი მიენიჭა „წყალტუბოს ეროვნული ბიბლიოთეკა“.



ДУМИЛИ. ჯაბარ ლომაძის ფოტო.

კიდევაც დაიზრდებიან

ანუ ხმით ნატირალი სცენაზე

დილის ოთხ საათზე მამლის ყივილი განთიადის მოახლოებას აუწყებს ხოლმე ქვეყანას.

ამ დროს მონასტრებში ბერ-მონაზვნები იღვიძებენ და ლოცვას აღუვლენენ ყოველად ძლიერსა და ჯვარცმულს.

მხატვრებიც და პოეტებიც ამ დროს იღვიძებენ, სხვებს „კი გულისძილით სძინავთ“. მაგრამ იმ დღეს დედაქალაქის მთავარი ძარღვი „შავლეგოს“ სიმღერით შეხვდა განთიადის მოახლოებას.

და მოხდა საშინელი სასწაული!... დილით კი რუსთაველზე კაცებივით ატირდნენ ულმერთოდ ნაცემი ხეები. უცრემლოდ, მგლოვიარე მუზისაგან გადაშავებული თეთრი ფურცლებით, ყოველდღე რომ ემატებოდა ერთმანეთს. თვალდათვალ გაჭაღარავდნენ აპრილის მზით ის-ის იყო ამწვანებული ჭადრები.

ხეები ლექსებით იფარჩებოდა, ხეებზე აფენდნენ ბრალდებას...

17 მაისს ფილარმონიაში რეჟისორებმა ც. ქიტაიშვილმა და ო. ღვაბერიძემ სცენაზე შავი ნაკუწებით მორთული „ნატვრის ხე“ დადგეს — „ხიდან ჩამოკრებილი ლექსებით“ მოწყობილი საღამო ხმით ნატირალად იქცა. პროფესიული თუ პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პოეზიის თეატრის ნორჩი მსახიობების სიტყვით პოეტების მ. ბარათაშვილის, მ. ფოცხიშვილის, ა. აბულაშვილის, ლ. სტურუას, ნ. ჯალაღონიას, ჯ. ჩახავას, გ. ჯულუხაძის, მსახიობ რ. მიქაბერიძის, ახსამბლ „ეურნალისტის“, მომღერლების ენით ტოროდა სცენა, ტიროდა მაყურებელთა დარბაზიც.

ბოლოს ისევ უსინათლოებმა, როგორც იმ ღამეს, ომახიანად შემოსძახეს: დაუკარით!!!

... უფოთლო ხეებით მორთულ სცენაზე კვირტებივით გადმოხტნენ მე-3 იქსპერიმენტული სკოლა-სტუდიის ჭორეოგრაფიული ანსამბლის პატარა ვაჟკაცები. და მაშინ სალამოს წამყვანმა ზინა კვერენჩხილაძემ, სამი საათის განმავლობაში მოთქმით რომ აწყობდა იატაკზე ყვავილებს, პირველად გაიღიმა.

კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი...

ჰეშმარიტად!

მარინე მათიაშვილი

საგანგებო შემთხვევა სკოლაში

გუშინ დღე-ღამეში ავადმყოფთა რიცხვი, რომლებსაც ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლის ნიშნები აქვთ, რესპუბლიკურ ბავშვთა საავადმყოფოში 19-ით გაიზარდა. მათ შორის არიან თბილისის 101-ე, 147-ე და 161-ე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები. დღემის 89-ე საბავშვო ბაღიდან მოსულ ბავშვებს საავადმყოფო მკურნალობა არ დასჭირდათ და საჭირო ამბულატორიული დახმარების გაწევის შემდეგ ყველანი შინ გაუშვეს. სულ, 9 აპრილის შემდეგ რესპუბლიკურ ბავშვთა საავადმყოფოს მოწამვლის ჩივილით მიმართა 700-ზე მეტმა ბავშვმა.

17 მაისს საგანგებო შემთხვევა მოხდა თბილისის 101-ე საშუალო სკოლაში. შენობაში დილიდანვე იგრძნობოდა უცნაური სუნი. თავდაპირველად მას ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ უკვე 11 საათისათვის მრავალმა მოსწავლემ თავი ცუდად იგრძნო; დაეწყოთ თავისა და თვალების ტკივილი, გულისრევა, თავბრუსხვევა.

რამდენიმე მოზარდი ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს. მათგან ექიმებმა 5 სტაციონარში მოათავსეს, აქედან 2— რეანიმაციურ განყოფილებაში (თუმცა ისინი ჩქარა დაბრუნეს საერთო განყოფილებაში). სალამოს დამატებით კიდევ 3 ბავშვს ჰოსპიტალიზება გახდა საჭირო.

როგორც საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა თენგიზ ბაქრაძემ გვაცნობა, მათს სიცოცხლეს საშიშროება არ ემუქრება.

აიღეს სინჯები. რესპუბლიკის მთავარი ტოქსიკოლოგის, რესპუბლიკის მთავარი სანიტარიულ-ქიმიური ლაბორატორიის გამგის მიხეილ ვაშაკიძის სიტყვით, უცნობი ქიმიური ნივთიერების კვალი აღმოჩნდა როგორც სკოლის ეზოს ნიადაგში, ისე საკლასო ოთახების ჰაერში.

101-ე სკოლა დროებით დახურულია.

მაინც რა მოხდა? პროკურატურაშ ამ ფაქტთან დაკავშირებით აღძრა საქმე.

„კომუნისტის“ კორ.

ДУМИЛИ

ერეკლეს ბაღში ბალ-ბალ ბალ-ბალ ბალ-ბალ